„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერი ჩვენ ვართ ყველაო“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2019 წელი • №5-6 • 1-31 (9453-54) მარტი • ფასი 1 ლარი

21 მარტი-ქართული ჟურნალისტიკის დღე

მთავარი იარაღი-ობიექტური სიტყვა

იყო ჟურნალისტი - ნიშნავს იდგე შენი ქვეყნის, ხალხის სადარაჯოზე და ყოველდღიურ რეჟიმში იცავდე ყველა მხარის უფლებას. ქმნიდე, ემსახურებოდე შენი ქვეყნის განვითარებას. თქვენი მთავარი იარაღი თავისუფალი, ობიექტური, სამართლიანი სიტყვაა.

ქართული ჟურნალისტიკის 200 წლოვან იუბილეს გილოცავთ და გისურვებთ დიდი წინამორბედების გაკვალული გზის ღირსეულად გაგრძელებას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ლევან კუპრეიშვილი,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

მედიის როლი

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა. საქართველოში მოღვაწე ყველა ჟურნალისტს, განსაკუთრებით კი, სენაკის მედიის წარმომადგენლებს დიდი პატივისცემით ვულოცავ პროფესიულ დღეს. მედია, როგორც მეოთხე ხელისუფლება - ეს ის ძალაა, რომელიც მოვლენებისა და ფაქტების ობიექტურად გაშუქებით, პროფესიონალიზმითა და ოპერატიულობითა მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების სწორად ინფორმირებულობაში, ღირებულებების ჩამოყალიბებასა და სახელმწიფოს მშენებლობაში. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო რეგიონული მედიის როლი ამ საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმეში. თითოეულ ჟურნალისტს ვუსურვებ, ყოველთვის ყოფილიყვნენ ღირებულებებისა და პრინციპების ერთგულნი, ღირსეულად ემსახურონ საკუთარ პროფესიას და საზოგადოებას.

კახაბერ რუსია,
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სიტყვასთან ჭიდილში

ადგილობრივი მედიის ყველა თაობის წარმომადგენლებს გულით ვულოცავ ქართული ჟურნალისტიკის დღეს, პროფესიული ტვირთის საპატიოდ ტარებას.

ჩემი შრომითი ბიოგრაფიიდან გამომდინარე მასმედიასთან მიმართებაში მოსაგონარი ნამდვილად მაქვს მრავალი კეთილი და ბედნიერი დღე.

გმადლობთ ლამაზი ურთიერთობისათვის. ვიმედოვნებ მომავალში თქვენთან თანამშრომლობა კიდევ უფრო გაიზრდება.

გისურვებთ სიტყვასთან შეუპოვარ ჭიდილს, ძიებას, წვდომას, მიგნებასა და შემოქმედებით წინსვლას.

კვლავაც შემართებით გევლოთ პროფესიულ გზაზე.

მარინე აბრამია

მუნიციპალიტეტის მერიაში

ჟურნალისტის დღე მიულოცეს

21 მარტს ჩვენი მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილ ჟურნალისტებს, გაზეთ „კოლხეთის“ ყოფილ რედაქტორს, სენაკის საპატიო მოქალაქეს, რეზო ჯანჯღავას და დამსახურებულ ჟურნალისტს ლამარა გადელიას პროფესიული დღესასწაული მიულოცეს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა.

„სენაკის ჟურნალისტიკის ისტორიაში ფასდაუდებელია თქვენი ამაგი. ათწლეულების მანძილზე თქვენს მიერ გაკვალული გზა და ტრადიციები გრძელდება. დღეს უხუცეს ჟურნალისტებთან ჩვენი სტუმრობა დასტურია დიდი პატივისცემისა თქვენს მიერ გაწეული ღვაწლის მიმართ, რომელსაც თაობები სათუთად გაუფრთხილდებიან” - აღნიშნა გრიგოლ ბაღათურიამ.

სითბო და სიყვარული „მზის შვილებს"

ჩვენ, მეგობრები, ქრომოსომებს არ ვითვლით” - ამ სიტყვებით მიესალმნენ და უმასპინძლეს „მზის შვილებს” სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნატალია ხუბუამ, მერიის თანამშრომლებმა.

დაუნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, გამორჩეულად თბილ და უმანკო არსებებს, სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

ამ ამაღელვებელი შეხვედრის შემდეგ, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში, ადგილობრივმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა და გასართობ ცენტრ „ზოოლენდის” ანიმატორებმა „მზის შვილებს” და ცენტრ „ლაზარეს” აღსაზრდელებს სახალისო და სიყვარულით სავსე გარემო შეუქმნეს.

დასასრულს, სიცოცხლის და სიყვარულის სიმბოლოდ, ქალაქის ცენტრალურ სკვერში, ნაძვის ნერგები დაირგო.

პატივი მიაგეს

17 მარტს იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძარში პატივი მიაგეს 11 მარტს, ოკუპანტების ტყვეობისას მოკლული 29 წლის ირაკლი კვარაცხელიას ხსოვნას.

სამგლოვიარო ცერემონიას სენაკის საკათედრო ტაძარში ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, სენაკის საზოგადოება.

ამ დღეებში მთავრობის წარმომადგენლებმა - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კონსულტანტმა ოკუპირებული ტერიტორიების საკითხებში მაია ცაბოშვილმა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ალექსანდრე მოწერელიამ, გუბერნიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა პირადად მიუსამძიმრეს კვარაცხელიას ოჯახის წევრებს და მწუხარება გამოთქვეს მომხდარი ტრაგედიის გამო.

ირაკლი კვარაცხელი სენაკის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან
ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „პირველად იყო სიტყვა“

საქართველოს კალენდარზე 2019 წელია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ ჟურნალისტიკას 200 წელი შეუსრულდა. ზუსტად 1819 წელს 8 მარტს (ძვ. სტილი) 21 მარტს (ახალი სტილით) გამოვიდა პირველი ნაბეჭდი ქართული გამოცემა „საქართველოს გაზეთი“, მეორე წელს აღნიშნულმა გაზეთმა „ქართული გაზეთის“ სახელით იწყო გამოსვლა. სულ 2 წელი იარსება. 9 წლის შემდეგ „ტფილისის უწყებანი“ დაიბადა, წლებს წლები მიჰყვა, გამოცემას გამოცემა, საეტაპო მნიშვნელობის „ცისკარმა“, „საქართველოს მოამბემ“, „დროებამ“, „ივერიამ“, „კვალმა“... ეპოქა შექმნეს. ქართულმა ჟურნალისტიკამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია. არ ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი მხარე ქართული გამოცემის ყურადღების მიღმა რომ დარჩენილიყოს. როგორც ილია ბრძანებდა „ჟურნალ-გაზეთობა სხვა არა არის რა გარდა ყოველდღიურ ხარკისა, საცა ერი აჭდევს ხოლმე თავის ავკარგიანობასა“.

მე-20 საუკუნემ სხვა იდეოლოგია მოიტანა. დღეს, 21-ე საუკუნეა, როცა მრავალფერი და მრავალგვარია მედია სივრცე, კარგი იქნება ჟურნალისტებისათვის მართალი სიტყვის მსახურების საპირწონე ზნეობრივი და მორალური ღირებულებები იყოს.

სენაკში ამ ფასეულობათა განუხრელი დაცვით იარა ჩვენმა წინამორბედმა თაობამ. ისინი თავის შეგნებულ ცხოვრება-მოღვაწეობაში ჟურნალისტიკით დაკავდნენ და პროფესიული უნარ-ჩვევების ერთგულებაში დაიხარჯნენ.

ერთ-ერთი მათგანია ქალბატონი ლამარა გადელია, ვეტერანი ჟურნალისტი, გაზეთ „კოლხეთის“ ერთ-ერთი გამორჩეული სახე, ელეგანტური მანდილოსანი, 45 წელი იმუშავა „კოლხეთის“ შემოქმედებით გუნდთან ერთად და თავისი კვალი დატოვა.

რეზო ჯანჯღავა, პროფესიით ჟურნალისტი, გაზეთ „კოლხეთის“ ყოფილი რედაქტორი, გამორჩეული ხელწერის, განსხვავებული თვალსაწიერის, კოლეგიალური, ახალგაზრდა თაობის მოყვარული...

ისინი ჩვენთვის მისაბაძნი არიან, ხშირად ვეკონტაქტებით, რჩევებს ვეკითხებით, მათ ხედვებს, შეფასებებს ვითვალისწინებთ, „კოლხეთელებს” ეს ორი ამაგდარი, უხუცესი ჟურნალისტი გვყავს, მათი გაფრთხილება და მოფერება გვმართებს ჩვენ, ამიტომ პირველ რიგში გვინდა ჟურნალისტიკის დღე მათ მივულოცოთ, ჯანმრთელობა და დიდი ხნის სიცოცხლე ვუსურვოთ.

რაც შეეხება დამწყებ თუ მოქმედ ჟურნალისტებს, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვითა და ზნეობის მსახურებით ეღვაწოთ. პრაქტიკულ ცოდნასთან წილნაყარი ცოდნით ევლოთ ცხოვრების გზა-შარაზე.

ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით ერთი კითხვით მივმართეთ ჩვენს თანაქალაქელებს. გთავაზობთ მათთან დიალოგს.

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა. თქვენი დამოკიდებულება ამ დღისადმი? როგორია მედიის როლი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში?

თეა გრიგოლია, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი- ჩემთვის ეს დღე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან მერგო პატივი, ჩვენი მუნიციპალიტეტის ტელე-ჟურნალისტიკის ისტორიაში პირველი ტელე-წამყვანი გავმხდარიყავი.

ჟურნალისტიკა ერთგვარი ადრენალინია, ჭეშმარიტი ჟურნალისტი მუდმივად უნდა ეძიებდეს, იბრძოდეს, ამბობდეს, ხმაურობდეს და იყოს საზოგადოებრივი ინტერესის სადარაჯოზე. მეოთხე ხელისუფლება თანამედროვეობის ისტორიის ერთგვარი მემატიანეა, რაც, თავისთავად, უდიდესი პასუხისმგებლობაა ქვეყნის წინაშე.

ქართული ჟურნალისტიკას ვუსურვებ მაღალ სტანდარტებს, მეტ განათლებულ და პროფესიონალ კადრს, კოლეგიალობას.

შეიძლება იცოდე სენსაცია ან ექსკლუზივი გქონდეს, თუმცა სასწორის მეორე მხარეს შენი ქვეყნის, ქალაქის ინტერესი იდოს - რაც არ უნდა გაიყიდოს! არ უნდა დავხურდავდეთ! ეს არის სურვილიც და შეფასებაც.

რუსუდან მილიუტინი, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის კოორდინატორი - ჟურნალისტის ოჯახში დავიბადე და გავიზარდე... ჩემთვის ყოველთვის ძვირფასი იყო და არის ეს პროფესია და ადამიანები, რომლებიც ამ სფეროში მიღვაწეობენ...

მახსოვს მამა - ბორის მილიუტინი - საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, როგორ სათუთად და პატიოსნად ემსახურებოდა თავის საქმეს, ჯერ ადგილობრივ გაზეთ ,,კოლხეთში", სადაც მუშაობდა სხვადასხვა პოზიციებზე, ბოლოს რედაქტორის მოადგილედ, ხოლო შემდეგ რესპუბლიკურ გაზეთებში. ძალიან უყვარდა ხელოვნება და ხშირად წერდა ჩვენი რაიონის გამოჩენილ ხელოვან ადამიანებზე, წერდა სოციალური თუ პოლიტიკური ცხოვრების როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებზე, რაც აუცილებელია ჟურნალისტური საქმიანობისათვის, ჟურნალისტური ეთიკისათვის ყველა დროში.

ადრე პრესის დღე იყო 5 მაისი და ეს თარიღი ყოველთვის საპატიო და ყურადსაღები იყო ჩვენს ოჯახში, ამასთან ეს დღე არის მამას ერთადერთი შვილიშვილის დაბადების დღე ... მამას განსაკუთრებით უხაროდა ეს თარიღი და ვარაუდობდა, რომ მისი შვილიშვილი ამ პროფესიას აირჩევდა...

ყოველ 5 მაისს მამას აჯილდოვებდნენ სამახსოვრო საჩუქრებით და მისალოცი ბარათებით მაშინ საქართველოში მთავარი გაზეთის ,,კომუნისტის" რედაქციიდან, სადაც იგი ბოლომდე მუშაობდა ,,კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტად სამეგრელოს 4 რაიონში: აბაშაში, მარტვილში (მაშინდელი გეგეჭკორი), ჩხოროწყუსა და სენაკში(მაშინდელი ცხაკაია). ჩვენს ოჯახში დღესაც სათუთად ინახება მაგიდის ლალისფერი საათი, რომელიც სამახსოვრო წარწერით მამას აჩუქა გაზეთის მთავარმა რედაქტორმა გიორგი ბედინეიშვილმა...

უდაოდ დიდია მედიის როლი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში, ვინაიდან მედია აშუქებს ადამიანთა, ქვეყნის ცხოვრების როგორც დადებით ასევე უარყოფით მხარეებს, ხელს უწყობს მოქალაქეთა ინფორმირებულობას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, მათ ჩართულობას პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში.

მინდა ჩემი ქალაქის, მუნიციპალიტეტის და სრულიად საქართველოს ჟურნალისტებს, მედიის ყველა წარმომადგენელს მივულოცო ჟურნალისტიკის დღე - 21 მარტი და ვუსურვო მათ ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ბედნიერება და წარმატებები ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

ლუარა ჯიქია, ქ. სენაკის №2 საჯარო სკოლის მასწავლებელი ქართული სიტყვიერებისა - 21 მარტს-ამ გაზაფხულის ბუნიობას-გილოცავთ ქართული ჟურნალისტიკის დღეს!

სრულიად საქართველო მიაგებს პატივს, როგორც სამშობლოსა და უფლისთვის მოღვაწე თავგანწირულ ჟურნალისტებს, რადგანაც ოდითგან მომდინარე დიდი კირთება-რუდუნებით ეზიდებოდით იმ ფრიად მძიმე ჯვარს, რასაც ქვეყნის მსახურებას უწოდებენ, რამეთუ დღენიადაგ იზიარებდით სამშობლოსა და კაცობრიობის ეტალონურ თვალსაწიერებს, ჰმკურნალობდით სულიერს თუ ფიზიკურ ტკივილებს მამულისა და ხშირად საღათას ძილით გათანგულთ პოეტისებრ შესძახებდით:

,,არე ჩაგეძინოს, არ ჩაგთვლიმოს-შეიბ მახვილი!"

ოღონდ იქვე დასძენდით: ,,ოღონდ ფუნჯი და ნამგალია შენი მახვილი!“ შეიბ მახვილი!"(შ. ნიშნიანიძე)

ქართული ჟურნალისტიკის დღის აღნიშვნა ფრიად მნიშვნელოვანია, რამეთუ ესაა ისტორიის ფესვებისათვის თვალშევლება ახალ ეპოქაში ფესვზე ამოსული ყლორტების მოვლა-პატრონობისათვის აწმყოსა და მყოობადში.

დიდი მოწიწებითა და უფლისეული სიყვარულით მივაგებ პატივს გაზეთ ,,კოლხეთის" ზეაწევნილ რედაქციას, მის ყოველ წევრსა და თანამოაზრე -თანამდგომთ. გაზეთ ,,კოლხეთის", ლამის 100წლამდე მოსაყრელად. მათს მხრებზე დგას გაზეთი ,,კოლხეთი" 96 წლის ბრძენკაცი.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქციელთა თავგანწირული კირთება საეტალონე სიდიდეა როგორც ქვეყნისათვის უწრფელესი მსახურებისა, ისე მათი ღრმადგააზრებული მამულიშვილური მოვალეობა -მისიის აღსრულებისა, ძეგლად კი ამ ჟურნალისტურ-ეროვნული მოღვაწეობისა გაზეთი ,,კოლხეთია", გაზეთი, რომელიც მალე, სულ 4 წელში, 100 წლის ამბებს გამოჰფენს წინაშე კოლხებისა, წინაშე სრულიად საქართველოსი.

ძვირფასო რედაქციავ!

ინებოს უფალმა მრავალგზის ჰმსახურებდეთ ჩვენს უტურფეს სამშობლოს თქვენმიერი ინტელექტ-ერუდიციით,

ეროვნულ-ტოლერანტული იდეებით, ზეაწევნილი უფლისეული შთაგონებითა და თქვენი(ვაჟასეული)პრინციპით:,,უფალსა გჰყვანდე ზიარად" რათა არაკეთილმა პრესამ, ე.წ. ყვითელმა პრესამ აღარა სძლიოს სიკეთეს.

დიდება-უფალს! დიდება -საქართველოს!

დიდება -საქართველოს ჟურნალისტებს! ამინ!

ლუიზა კემულარია, საჯარო ბიბლიოთეკის სპეციალისტი-პროფესიული დღის აღნიშვნა ეს არის სიყვარულის, სიმართლის დაფასების, რჩეულების აღმოჩენის დღე და როგორ შეიძლება ეს არ ავღნიშნოთ, მითუმეტეს ჟურნალისტის, რომელიც ხალხის ყოველდღიური ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს და ხალხს ეიმედებოდეს, სიტყვის თავისუფლება უნდა იყოს ჟურნალისტის ,,საარსებო მოთხოვნა". დღეს როდესაც ელექტრონულმა მედიამ მოიცვა სამყარო, ჩვენდა გასაკვირვად ბეჭდურმა სიტყვამ მაინც შეინარჩუნა მეოთხე ხელისუფლების ხიბლი, ტრადიცია და რჩეული გონიერი მკითხველის სიყვარული. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „პირველთაგან იყო სიტყვა“.

ქვეყნის აღმშენებლობის სწორი გზით წარმართვაში მედიას მეტად მნიშვნელოვანი როლი აკისრია, რადგან ჟურნალისტს აქვს ის ძალა, ადამიანს დაეხმაროს სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, საზოგადოებასთან ურთიერთობაში. მან ინფორმაცია უნდა გაავრცელოს სიმართლეზე დაყრდნობით, ფაქტების გათვალისწინებით, ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის შექმნას, მის სწორ მიმართულებას. სწორედ ეს მისია აქვს დაკისრებული მედიას ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

გილოცავთ, ჟურნალისტებო პროფესიულ დღესასწაულს, იყავით მოწოდების სიმაღლეზე, აღიქვით მოვლენები სწორად და გქონდეთ ხალხის სიყვარული.

მერაბ ჩიქობავა, შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისის" დირექტორი-მედიის წარმომადგენლები ჟურნალისტიკის დღეს 1993 წლიდან აღნიშნავენ. საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 21 მარტს ქართული ჟურნალისტიკის დღე ერთობლივად დააწესეს. მე განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ამ დღისადმი. მართალია, პროფესიით ჟურნალისტი არა ვარ, მაგრამ 24 წელია ქართულ მედია სივრცეში ვართ და რეგიონს ვემსახურებით, ეს პროფესია ჩემიც გახდა.

მხიარულებით, საჩუქრებით და მთელი ამბებით... ჟურნალისტებს ვულოცავ პროფესიულ დღეს, ვუსურვებ პროფესიულ განვითარებას და ბევრ კარგ ახალ ამბავს... ჟურნალისტიკა, 21-ე საუკუნეში, ნამდვილად დიდ როლს თამაშობს ქვეყნის აღმშენებლობისა და სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის წარმოჩინების კუთხით.

აღნიშნული ფაქტი ავალდებულებს ჟურნალისტს, რომ იყოს პასუხისმგებელი ყველა ინფორმაციაზე, რასაც აშუქებს. ამასთან ეს ინფორმაცია უნდა იყოს სწრაფად, ნათლად და პროფესიონალურად მოწოდებული.

მედიის როლი დიდია ქვეყნის არამარტო აღმშენებლობის, არამედ ერის განვითარების, ინფორმაციის სწორად გავრცელების, მოვლენების ობიექტურად მიწოდების და აღქმის საქმეში. ტელევიზია, ბეჭდური მედია, ინტერნეტ არხები ეს არის კონტენტი, რომლითაც ყოველდღიურ ამბებს ვქმნით ქვეყანაში მიმდინარე დადებით თუ უარყოფით მოვლენებზე, შეიძლება ხმამაღალ ნათქვამადაც მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ გარკვეულ წილად ამა თუ იმ მოვლენებზე საზოგადოებრივ აზრს ვაყალიბებთ და გავლენას ვახდენთ მოსახლეობაზე.

სოსო ჯღამაძე, ვეტერანი, ,,კოლხეთის" ხელმომწერი -ჩვენი ჟურნალისტები ქალაქისა თუ სოფლის მოსახლეობას გვერდში უდგანან, მათ მიღწევებს ასახავენ და აქტიური მუშაობით ხელისუფლებას სამშობლოს აღორძინების საქმეში მხარს უმაგრებენ. სამწუხაროა, რომ სენაკის სინამდვილეში საუკუნოვანი სტამბა ხანძარმა იმსხვერპლა, ამიტომ ჩვენი „კოლხეთის“ ჟურნალისტები წვალობენ, სხვაგან უხდებათ გაზეთის ბეჭდვა, კარგი იქნება, რომ აღდგეს ტრადიციების მქონე ძველი სტამბა.

ჩემო სენაკელო ჟურნალისტებო! გილოცავთ ქართული ჟურნალისტიკის დღეს — 21 მარტს, მუდამ მშობლიური ხალხის კეთლდღეობისათვის გემსახუროთ.

სამშობლოს პატრიოტი მამულიშვილი, ჩვენი ბრძენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევა არ მოგკლებოდეთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

გვერდი მოამზადა
ნინო სართანიამ

ფოტომატიანე

გაზეთ “კოლხეთის” შემოქმედებითი ჯგუფი – 1980: გალაქტიონ რობაქიძე, სოლომონ კუჭავა, ლამარა გადელია, რეზო ჯანჯღავა(რედაქტორი), იონა გვასალია, გოგოლა მზარელუა

ქალი კეთილდღეობისა და ბედნიერების საწყისი

„ყველა სიკეთის დედაა ქალი“

გაზაფხულზე ბუნება თითქოს ყველაზე მეტად ქალებს გვანებივრებს. ირგვლივ ყველაფერი იღვიძებს, თბება... ზამთრის უფერული და ცივი დღეებით გადაღლილები, გაზაფხულს, რაღაც ახლის მოლოდინით ვხვდებით. თითქოს გაზაფხული მხოლოდ ქალებისთვისაა..

წელიწადის ეს დრო ყველა ქალბატონისთვის საყვარელია. ქალიც ხომ ზუსტად გაზაფხულივითაა. თბილი და ლამაზი, რომელიც მუდამ სიყვარულსა და სითბოს ასხივებს.. ალბათ სწორედ ამიტომაც, გაზაფხულის პირველი თვე მარტი, ქალებს დაუკავშირეს.

ქალი - ბედნიერი დედა, ქალი – მოსიყვარულე მეუღლე და ქალი – წარმატებული თავის საქმიანობაში. ყველა ქალბატონის სანუკვარი ოცნებაც ხომ ეს არის?

სწორედ ამიტომ შევარჩიეთ ჩვენი დღევანდელი ნომრის რესპოდენტი. ქალბატონი მანანა გეგენავა რკინიგზის სააადმყოფოს ლაბორატორიის განყოფილების უფროსი ექიმ-ლაბორანტი. მზრუნველი მეუღლე, დედა და ახალგაზრდა ბებია... ქალბატონი მანანა უკვე წლებია ამ სფეროში მუშაობს და ჩვენი ქალაქის მოსახლეობა მას კარგად იცნობს. ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ მას, თუ რას ნიშნავს მისთვის გაზაფხული და მასთან დაკავშირებული დღესასწაულები. რამდენად შესაძლებელია იყო წარმატებული საქმიანობით და ამავდროულად ბედნიერი ოჯახის მზრუნველი დიასახლისი...

მან, როგორც დედამ რათქმაუნდა უფრო დიდი დრო დაუთმო დედა-შვილურ გრძნობაზე საუბარს. თვლის, რომ მას ეს გრძნობა გაასმაგებული აქვს, რადგან სამივე შვილი უკვე დაოჯახებულია და ცალ-ცალკე ცხოვრობს. შესაბამისად მონატრებაც უფრო დიდია..

„საკმარისია მხოლოდ მათი ხმის ინტონაციის გაგება, რომ მივხვდე, თუ როგორი დღე გაიარეს. ეს არის ინსტიქტი, რომელიც მხოლოდ დედა-შვილს შორის შეიძლება იყოს. დედა-შვილურ გრძნობაზე უდიდესი გრძნობა ამ ქვეყნად არ არსებობს. ზოგადად ვფიქრობ, რომ დედა-შვილისთვის ყოველი დღე ერთნაირად თბილია, მაგრამ გაზაფხულზე ეს გრძნობა ალბათ ორმაგდება, შესაბამიად ორმაგდება სიყვარულიც....

-დე, ამ ქვეყნად ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ.... ჩემთვის ყველაფერი ხარ„... ესაა სიტყვები, რომელიც ცხოვრების აზრს გიასმაგებს და ხვდები იმ ყველაზე დიდ მიზეზს, თუ რისთვის ხარ ამ ქვეყნად მოვლენილი. შვილებისგან წარმოთქმული ყოველი თბილი, პოზიტიური სიტყვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შეიძლება ითქვას ეს გაახალგაზრდავებს.. ამიტომ მინდა ყველა შვილს ვთხოვო: ნუ დაგეზარებათ დედას უთხრათ „მიყვარხარ“ და გამოხატოთ მის მიმართ სითბო.. ეს მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია... მართლაც რომ ბედნიერებაა იყო დედა... ღმერთმა მე ეს ბედნიერება ულევად მარგუნა, მადლობელი ვარ ამისთვის....

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად შესაძლებელია იყო ბედნიერი ოჯახური ცხოვრებით და ამავდროულდ იყო წარმატებული, მე ვთვლი, რომ ეს სავსებით შესაძლებელია. მხოლოდ უნდა შეგეძლოს დროის სწორი განაწილება და რათქმაუნდა უნდა გქონდეს მეუღლის დიდი მხარდაჭერა. როდესაც გვერდით გყავს ადამიანი, რომელიც მხარს გიმაგრებს და გაძლევს უფლებას, პარალელურად განვითარდე პროფესიულადაც. მაშინ ყველაფერი გამოვა. ყველა ქალს და დედას, განურჩევლად ეროვნებისა ვუსურვებ ბედნიერებას, რასაც ჰქვია მოსიყვარულე ოჯახისა და ადამიანების გარემოცვაში ყოფნა. იყვნენ ჯანმრთელები და გახარებულები შვილების კარგად ყოფნით.

ბოლოს კი მინდა ვისურვო ამქვეყნად მშვიდობა, რადგან ეს არის ყველანაირი სიმშვიდის საწყისი.

მშვიდობიან საქართველოში გვეცხოვროს მშვენიერო ქალბატონებო.

რედაქციის სახელით ყველა ქალბატონსა და ჩვენს მშვენიერ რესპოდენტს ვულოცავთ გაზაფხულის შემობრძანებას, დედისა და ქალთა დღესასწაულებს.... ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ლამაზ და ბედნიერ დღეთა სიმრავლეს. გვიმრავლოს ღმერთმა ბედნიერი და წარმატებული ქალბატონები, რადგან „ყველა სიკეთის დედაა ქალი, ქალი სიცოცხლის ჯადოქარია“.

მარიკა მიქაბერიძე

„იმ ჩუმთა მუშაკთა უჩინო ღვაწლი“ „ჩვენი ღირსება ეროვნული ფესვები და სამშობლოს სიყვარულია"

ჩვენი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია ადამიანები, რომლებიც მოყვასისთვის უშურველად იხარჯებიან. ასეთებს ჩვენი წინაპრები ქველმოქმედს, ღვთისაგან რჩეულს, ღვთისნიერს, ღვთისმოსავს, კაცთმოყვარეს, განსწავლულს... ეძახდა. ილია კი ამნაირ ქმედებებს „იმ ჩუმთა მუშაკთა უჩინო ღვაწლს“ უწოდებდა. ასეთი ადამიანები რეკლამისა და ხმაურის გარეშე ჩადიან სიკეთეს. ჩვენს მუნიციპალიტეტში სწორედ ასეთი ადამიანი ცხოვრობს, რომელსაც თავის წარმოჩენა და გაკეთებულ საქმეთა ტირაჟირება არ უყვარს, არადა სასწაულებს ახდენს, არის უებრო მკურნალი, უზადო წამალთმცოდნე, ღვთისმოშიში და ქრისტესმიერი სიყვარულით აღვსილი, თურმე წერს კიდეც და მდიდარი შემოქმედებაც აქვს. იგი თავის შესაძლებლობებს უფლის ნებით ხსნის.

ჩვენი რესპონდენტი ქალბატონი ნანი გეგელია-გარუჩავა, რომელიც უნა ზესი დედა და უსაყვარლესი ბებიაა. ჰყავს ოთხი შვილი და 11 შვილიშვილი. დამთავრებული აქვს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი პროვიზორის სპეციალობით.

დედის დღესთან დაკავშირებით ქალბატონ ნანის ვთხოვეთ თავისი აზრი გაეზიარებინა ჩვენი მკითხველისთვის.

ქალბატონო ნანი, დამეთანხმებით ალბათ, რომ დედობა განსაკუთრებული ფენომენია, დედის ამაგი გადაუხდელი და აურწყავი. შვილობის, დედობის, ბებიობის ამპულაში მყოფობიდან გამომდინარე, რას იტყვით ზოგადად დედაზე? რას ურჩევდით ქალბატონებს დედობისთვის რომ ემზადებიან? საერთოდ შვილებმა როგორ უნდა შეძლონ დედისთვის „ვალის გადახდა“?

ვიფასებ ქართული ოჯახის ტრადიციებს, მყარსა და ძლიერს. ქრისტიანული მსოფლმხედველობით ოჯახი უნდა იყოს მეგობრული, შეთანხმებული და ვალდებულებათა პასუხისმგებლობით აღსავსე. ხოლო რამდენად ვითავსებთ ამ როლებს, ეს უკვე ყოველი პიროვნების განსაზღვრის საკითხია. მშობლის როლი და ამაგი განუზომელია, ის ანაზღაურებას არ ექვემდებარება, ხოლო შეფასებას მაშინ ვახერხებთ, როცა თავად აღმოვჩნდებით მშობლის სტატუსში.

დედობა დიდი საპასუხისმგებლო მოვალეობაა. იგი თავგანწირვაა, სიყვარულია, თანადგომაა, დასაყრდენია, შრომითა და დარდით გაჯერებული.ვაფასებ სწორ აღზრდას, სულიერ ღირებულებებს, ინტელექტს, შრომისმოყვარეობას, გულისხმიერებას, სწავლისადმი სიყვარულს. მომავალი დედა უნდა იზიარებდეს სხვათა გამოცდილებებს, ეყრდნობოდეს ქრისტიანულ მორალს, რათა აღზარდონ შვილნი გულისხმიერნი, შრომისა და სწავლის მოყვარენი, მეგობრულნი, „მოყვასის“ მოყვარულნი. დედისთვის „ვალის გადახდა“ ზოგადი მცნებაა და არაფერს ითხოვს, გარდა სითბოსა და დაფასებისა.

ცნობილია რომ სრულიად უსასყიდლოდ უამრავ ადამიანს შველით, თქვენ მიერ მომზადებული მალამოებით. მოგვიყევით ამაზე, როგორ და როდის დაიწყეთ?

სრული პასუხისმგებლობით მიყვარს ჩემი პროფესია. იგი მოიცავს ფარმაცევტული მედიკამენტებისა და სამკურნალო მცენარეებისაგან მომზადებული მედიკამენტების ფართო არეალს. სიღრმისეულად დავეწაფე ფარმაკოგნოზიას, რომელიც გვიხსნის მცენარეთა ფიტოქიმიასა და საოცარ სამკურნალო მოქმედებებს. ეს ყველაფერი ღმერთმა გვიბოძა ჩვენს დასახმარებლად.

უფალი მოგვიწოდებს – გვიყვარდეს მოყვასი, ვითარცა თავი ჩვენი.ეს შინაგანი ტკივილი თუ არ გაგვაჩნია, ვერასოდეს შევიქმნებით ღირსეული მკურნალი. დახმარების მშობლიური განცდა გვანიჭებს ღვთის წყალობასა და მადლს, რომელიც შორს დგას ბიზნეს-ქმედებებისაგან. სინდისი ყველაზე დიდი მსაჯულია და ისიც ღვთის ნაბოძვარია. ამდენად, არაფერს ვიტყვი ჩემს ქველმოქმედებებზე, რადგან მოვალეობად მივიჩნევ.

რა სახის დაავადებებს მკურნალობთ? თქვენი წამლები მცენარეულია თუ კომბინირებული?

შრომისა და სწავლის სიყვარულმა, დაუღალავმა კვლევა-ძიებამ, სამეცნიერო შრომებმა და ღვთისადმი უკიდეგანო სიყვარულმა შემაქმნევინა მცენარეული წამლები, სხავადსხვა მოქმედების მალამოები, საფენები, სპირტიანი გამონაწვლილები და სუსპენზიები. ეს ყველაფერი, ჩემი პროფესიული განათლების კვალდაკვალ დაიწყო 1992 წლიდან, როგორც კი ჩემი გარდაცვლილი ძმების სულის საოხად დავადექი საეკლესიო გზას. აქტიურად დავეწაფე წმინდა მამათა რელიგიურ ფილოსოფიას, რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი და ფიტოთერაპიას ყოველთა უსასოთ მყოფთა დასახმარებლად. ვცდილობ ვიყო დაუღალავი შემწე მათთვის, ვინც სრული ნდობით მოგვმართავს, როგორც კი იმედგადაწურულნი ხდებიან. დაავადებებს ვაკვირდები, რა შემიძლია და რომელ გზაზე დავაყენო, რა ჩივილებს გავუმკლავდები და წამლის ფორმებსაც ამით შევარჩევ.

ვიცით რომ სამკურნალო მცენარეებს ხმარობთ, სად მოიპოვებთ? (თქვენ თვითონ აგროვებთ თუ სააფთიაქო რესურსს იყენებთ?

მცენარეთა მოძიებას აღმოსავლეთით მაღალმთიან სოფლებში ვახდენ, სადაც დაცულია დამზადებისა და შრობის წესები. ზოგჯერ თავადაც ვაწარმოებ შრობასა და შენახვას, ზოგჯერ რუსეთიდანაც მაქვს გზავნილები შეკვეთის სახით. ფარმაციაში სასარგებლო მასალებს უყურადღებოდ არ ვტოვებ, ყველაფერს სწორი შერჩევა სჭირდება.

სამკურნალო პრაქტიკიდან საინტერესო ეპიზოდს ხომ ვერ გაიხსენებდით?

ჩემს პრაქტიკაში ბევრი საოცრებაა, ბევრი სენსაცია მომხდარა. იგივე ტენდენცია გრძელდება დღესაც, მაგრამ არაფერს ვახმოვანებ, რა საჭიროა?... უფალი გვიხმობს, მისი ნება აღესრულება და მეც სიკეთეების ქმნას ვეშურები.

ცხოვრებაში დიდი სირთულეები გამივლია ძმების დაკარგვის კვალობაზე (თუნდაც), მაგრამ არასოდეს გავტეხილვარ. ღმერთის თანადგომასა და შეწევნას არასოდეს მივუტოვებივარ, ვერც მე მივატოვებ განსაცდელში მყოფთ. მინდა ქართველი ერი იყოს სულიერად და ხორციელად ჯანსაღი, მინდა საქართველო ღვთისთვის გახდეს რჩეული და წინასწარმეტყველებიდან ველოდები კიდეც სულიერ აღორძინებას.

ღმერთმა ინებოს, ღმერთმა გვაკურთხოს ყველანი ერთად!

ამინ!

დედის დღეს გილოცავთ ქალბატონო ნანი ყველა იმ ადამიანის სახელით, ვისთვისაც ტკივილი დაგიამებიათ, გადაგირჩენიათ, დახმარებიხართ, მზრუნველობა და ყურადღება გამოგიხატავთ. ღმერთმა გიდღეგრძელოთ სახელიანი მეუღლე. თქვენი სიტყვები „ჩვენი ღირსება ეროვნული ფესვები და სამშობლოს სიყვარულია“ სულში ჩაგვწვდა და ჩაგვაფიქრა. ღმერთმა გვიმრავლოს სამშობლოს ხვედრზე მოფიქრალი ასეთი დედები.

ნინო სართანია

მეშვიდე საჯარო სკოლაში

„ვით უკვდავება, დედა ერთია“

გაზაფხული- ყველაზე მშვენიერი წელიწადის დროთაგან. ამ დროს ხომ ყველაფერი ასმაგად ლამაზია. იღვიძებს ბუნება. არე-მარე ივსება ნათელი ფერებით, მზე სასიამოვნოდ აცხუნებს, გაზაფხული ხომ ლამაზი ყვავილების ხანაა. ეს ის დროა, როდესაც ყვავილების მოზღვავებული ენერგია ერთხმად აბობოქრებას ლამობს. ცდილობს თავისი სილამაზე მოჰფინოს დედამიწას, გადაეკრას მინდვრებს, მთებს,ზვრებს, ო, რა სასიამოვნოა ახლად ამოსული აბიბინებული ბალახის სუნი, მორცხვი იის ნაზი სურნელება, აყვავებული ხეხილი ხომ გათრობს და გატკბობს.

ნიშანდობლივია, რომ ქალთა დღესასწაული ბუნების გამოღვიძებასა და გაფურჩქვნის ულამაზეს პერიოდს-ადრეულ გაზაფხულს ემთხვევა. ქალი ხომ სიცოცხლის წყარო და მშვენიერების სიმბოლოა. ქალი და დედა... მომავლის ძლიერი ღერძი, ჩვენი ცხოვრების ეშხი, მშვენება. დედა... სისპეტაკისა და უბიწოების ეტალონი, ხშირად ღამენათევი, უძილობითა და შვილებზე დარდით დაღლილი, მაგრამ ქედმოუხრელი, გაუტეხელი.

7 მარტი, ქალაქის მეშვიდე საჯარო სკოლა, მართალია მოღრუბლული დღეა, მაგრამ განწყობა მზიანი აქვს ყველას, ხალისიანი და საქმიანი, დარბიან, ზოგი ქვევით, ზოგი ზევით, კიდევ გავიმეოროთ ბავშვებო! აბა დამენახეთ ბავშვებო, სადღესასწაულო ფორმა ხომ ყველას გაქვთ-ისმის ხმები აქეთ-იქიდან, დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის ემზადება ყველა...

გაზაფხულის ადრეული ყვავილებითა და აყვავილებილი ატმის, ტყემლის ტოტებით მორთულ დარბაზში უკვე შეკრებილან სტუმრები.

გაზაფხულის ამ მშვენიერ დროს, თქვენსავით მშვენიერ დროს, ძვირფასო დედებო, დებო, ბებიებო, მასწავლებლებო, დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დედის და ქალთა დღეს. გისურვებთ გაზაფხულივით ლამაზ ცხოვრებას, გამრავლებას და ლამაზი ოცნების ასრულებას, - მიმართა მოწვეულ სტუმრებს, პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს ღონისძიების ორგანიზატორმა ქალბატონმა მზია ბარქაიამ. ჩვენი მოსწავლეები დღევანდელ დღეს გიძღვნიან თქვენ.

თვალხატულა, ლამაზად მორთულმა გოგო-ბიჭებმა ლურჯთვალა იები, ტიტები, ნარცისები მიართვეს დარბაზში მყოფ ქალბატონებს..

მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართველი პოეტების დედაზე, ქალზე, მასწავლებელზე გაზაფხულზე შექმნილი ლექსები. წარმოადგინეს ჩანახატები დედაზე, გაზაფხულზე. „ჩვენ–ქართველებს ბევრი კარგი სიტყვა გვაქვს დედაზე: დედა ენა, „დედა ბოძი“, „დედა ისტორია“, „დედა–მიწა“, „ია-ია დაგიკრიფეთ, ლურჯთვალა და კოპწია, დედის დღე და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია“, „ქალი ბევრია ამ ქვეყანაზე, მაგრამ დედა კი - მხოლოდ ერთია. დედა ერთია ვით მზის ამოსვლა. ვით უკდავება, დედა ერთია, და ქვეყანაზე ომის დაწყება, ეგ იგივეა - დედას ესვრიან“, „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“... ისმოდა მათი ბაგეებიდან.

ლექსებს ენაცვლებოდა გემოვნებით შერჩეული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი დარეჯან ზარანდია, აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის დირექტორი ელისო სიჭინავა, ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმის სპეციალისტი მარინე აბრამია, მეშვიდე სკოლის კურსდამთავრებული, ნატო ფულარია, სკოლის პედაგოგები, მშობლები. განსაკუთრებული სტუმარი გახლდათ 15 შვილის დედა, 21 შვილიშვილის ბებია ქალბატონი მზისადარ ჩიქობავა.

სკოლის დირექტორმა ბიძინა ტაბაღუამ მიულოცა ქალბატონებს დედის და ქალთა დღეები, მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისათვის, მზია ბარქაიას, ლიკა ნარსიას, მთელს კოლექტივს თანადგომისათვის.

დასასრულს სტუმარ ქალბატონებს, პედაგოგებს გადასცეს სიმბოლური საჩუქრები.

მაია გერგაია

ჟიული შარტავა-75

ჟიული შარტავა - თაობათა ღირსეული მაგალითი

საქართველოს ეროვნულ გმირს, ჩვენს თანაქალაქელს ბატონ ჟიული შარტავას 2019 წელის 7 მარტს 75 წელი შეუსრულდებოდა. მან თავისი ღირსეული ცხოვრებით, კაცურ-კაცობით, ლამაზი საქმეების კეთებით... აფხაზეთში გმირული აღსრულებით -მომავალ თაობებს სამშობლოსათვის თავდადების შეუდარებელი მაგალითი მისცა. აღნიშნულ თარიღ-



თან დაკავშირებით მუზეუმში შედგა ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა. საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელობისა და სასწავლო დაწესებულებათა დირექციების მხარდაჭერით გატარდა ზომები კვირეულის ფარგლებში მუზეუმში ექსკურსიებზე მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიურად მოზიდვისათვის. ჩატარდა საუბრები, ღია და ექსკურია გაკვეთილები, მხატვრული კომპოზიციები და ა.შ.

სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს პირველები სტუმრობდნენ თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლეები (კლასის ხელმძღვანელი დალი ეჯიბია) და მათი მშობლები დირექტორის მოადგილის ნარგიზა ნარსიას ხელმძღვანელობით. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურული მონტაჟი.

4 მარტს საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა აღნიშნული თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენა „ჟიული შარტავა-75". ბიბლიოთეკის სპეციალისტმა ლუიზა კემულარიამ მიმოიხილა გამოფენაზე წარმოდგენილი ლიტერატურა და პერიოდული პრესა. აფხაზეთის ტრაგედიაზე ისაუბრა აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილემ ნარგიზა ნარსიამ. ჟიულისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა პოეტმა გული კირცხალიამ.

საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა ნინო გვასალიამ ბიბლიოთეკის ნორჩ მკითხველთა მონაწილეობით წარმოადგინა მხატვრული კომპოზიცია „ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ, მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს!.."

5 მარტს მუზეუმში ჩატარდა ნოსირის საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლის, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის ქალბატონ მერი გვასალიას წიგნის „ჩაუქრობელი კანდელის" პრეზენტაცია. „გადავწყვიტე შემექმნა ნაშრომი ბატონ ჟიული შარტავაზე. მისი თავგანწირვა ჩვენი ხალხის გაუტეხელი სულის, მისი გმირული მატიანის ახალი, ნათელი ფურცელია. მისი სახე საუკუნეები იცოცხლებს, როგორც სამშობლოს ერთიანობისა და მომავალი გამარჯვების შთაგონების უშრეტი წყარო, როგორც ჭეშმარიტი გმირობის სიმბოლო და უკვდავების თანაზიარი"-წერს წინასიტყვაობაში ქალბატონი მერი.

კვირეულის ფარგლებში მუზეუმში მოსწავლეთა ორგანიზებული მოსვლით გამოირჩეოდნენ ქალაქის, ძველი სენაკისა და ნოსირის საჯარო სკოლები(კლასის ხელმძღვანელები: თინათინ გოგინავა, ნონა მაჭარაძე, მზია ბოღაშვილი, მერი გვასალია. დამსწრეთა წინაშე მხატვრული კომპოზიციებით წარსდგნენ ძველი სენაკისა და ნოსირის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

საგამოფენო დარბაზებში დამთვალიერებელთ მეგზურობას უწევდნენ მუზეუმის მეცნიერ-მუშაკები : ნანა ფირცხალავა და მაია ლაშქარავა.

6 მარტს დილიდან ხალხმრავლობა იყო მუზეუმში, სადაც თავი მოიყარეს კულტურის დაწესებულებათა მუშაკებმა, აფხაზეთიდან დევნილებმა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ჟიული შარტავას დაბადებიდან 75-ე წლისთავის აღსანიშნავად მუზეუმში გაიმართა გმირის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც უძღვებოდა ჟიული შარტავას მუზეუმის სპეციალისტი მარინე აბრამია. შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გმირის ხსოვნას. მოიგონეს შარტავების ოჯახის ღირსეული წარმომადგენლები და აფხაზეთის ომში დაღუპული თანაქალაქელები.

ღონისძიებაზე გამომსვლელებმა: შარტავების ოჯახის ახლო ნათესავმა, სამუსიკო სკოლის პედაგოგმა დარეჯან ფაჩულიამ, თეკლათის საჯარო სკოლის პედაგოგმა გრიალა რობაქიძემ, მუზეუმის მეცნიერ-მუშაკებმა ნანა ფირცხალავამ და ლალი გულუამ, კულტურის ცენტრის სპეციალისტმა ლია ღვამბერიამ -გაიხსენეს სენაკის საამაყო შვილის ცხოვრების გზის სხვადასხვა ეტაპები, ოჯახი და გარემო, სადაც იგი ჩამოყალიბდა, მოღვაწეობის წლები, აფხაზეთში მისი გმირული აღსასრული და ა.შ.

ომის მძიმე დღეებზე საუბრიდან გამომდინარე, ემოციურად იყო დატვირთული აფხაზეთიდან დევნილი, ძველი სენაკის საჯარო სკოლის პედაგის ინგა ზარანდიას გამოსვლა.

ქართული გენის სიძლიერესა და სიმტკიცეს გაუსვა ხაზი თავის გამოსვლაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა, სენაკის საპატიო მოქალაქემ - დამირ კუჭავამ, რომელმაც თავის გამოსვლა დაასრულა საკუთარი ლექსის „ჟიული შარტავა 75-"-ის წაკითხვით.

დამსწრეთა ყურადღება მიიპყრო ანსამბლ „კოლხური ტრიოს" მიერ ჟიულისადმი მიძღვნილმა სიმღერის შესრულებამ (ტექსტის ავტორი **დონარა მიმინოშვილი,** მუსიკის ავტორი **ბელა ქამადაძე**).

„ჟიული შარტავამ თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა ქვეყნის აღმშენებლობასა და ბოლოს ქედუხრელად შეეწირა მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, რითაც საოცარი მაგალითი დაუტოვა მომავალ თაობებს"-აღნიშნა თავის გამოსვლაში სენაკის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა მამა იოანემ(კუპრეიშვილი).

ერის ღირსეულ შვილზე ისაუბრეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ და საკრებულოს დეპუტატმა ზაზა ნაჭყებიამ.

ღონისძიების დასასრულს დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა მოსწავლე -ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორმა ლევან უჩანეიშვილმა „ქვეყანა, რომელიც ჟიულისნაირ მამულიშვილებს ზრდის, გადაშენება არ უწერია"-თქვა მან. ამასთან მადლობა გადაუხადა მუზეუმის თანამშრომლებს ჩატარებული ღამაზი საღამოსათვის.

ღონისძიებას ესწრებოდა მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, რესურსცენტრის უფროსი დარეჯან ზარანდია და ხელოვნების ცენტრის დირექტორი ვეფხვია ვეფხვაძე.

ეკრანზე მიმდინარე დოკუმენტური კადრები და ჩანაწერები განსაკუთრებულად აძლიერებდა დარბაზში მსხდომთა ემოციურ მუხტს. აფხაზეთის ომის მძიმე კადრებს ერთვოდა დამსწრეთა წრფელი ცრემლები... ჩატარებული საღამო იყო ტკივილით, მონატრებითა და მომავალი დღის გამარჯვების რწმენით გაჯერებული.

7 მარტს სკოლებში სასწავლო პროცესი დაიწყო წუთიერი დუმილით. წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძარში აღევლინა ჟიული შარტავასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა დასაცავად აფხაზეთის ომში დაცემული თანაქალაქელების სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი. ყვავილებით შეიმკო ქალაქის სკვერში მდებარე გმირის ბიუსტი.

მ. ჭონია

დაბადებიდან 100 წელი

ჩვენი წარსულის მოგონება

9 მარტი ჩემთვის გამორჩეული დღეა, მიმდინარე წელს განსაკუთრებულიც: გალინა ჩიხლაძის დაბადებიდან 100 წლისთავია.

ქალბატონი გალინა დაიბადა ქ. სოხუმში, იურიდიული განათლება მიიღო პეტერბურგის(ლენინგრადის) ინსტიტუტში. სწავლის პერიოდში მოუსწრო დიდმა სამამულო ომმა. ხშირად იხსენებდა ლენინგრადის ბლოკადის უმძიმეს დღეებს. სოხუმში დაბრუნების შემდეგ ქალბატონი გალინა მუშაობდა იურისტ-კონსულტანტად (1944 - 47 წლები). მუსიკის უსაზღვრო სიყვარულმა მიიყვანა სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1952 წელს. იმავე წელს განაწილებით ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში და 40 წელზე მეტი იმუშავა სენაკის სამუსიკო სკოლაში ფორტეპიანოს პედაგოგად, შექმნა ოჯახი და სიცოცხლის ბოლომდე იყო ჩვენს პატარა ქალაქში. გარდაიცვალა 1993 წელს. აღსანიშნავია, რომ გარდაცვალების წინ ჩვენს რაიონულ გაზეთში გამოქვეყნდა ქალბატონ გალინა ჩიხლაძის 3 პუბლიკაცია, სადაც იგი დიდი სიყვარულით აღწერს თავის საქმიანობას, ჩვენთან გატარებულ წლებს. ქალბატონ გალინას მოღვაწეობა ჩვენს ქალაქში დაკავშირებულია სკოლის საფორტეპიანო განყოფილების აღორძინებასთან. განუმეორებელი პედაგოგი მთელი თავის არსებით ცდილობდა მიეღწია მაქსიმალური შედეგისათვის თითოეულ მოსწავლესთან და ამასთან არ აკლებდა დედობრივ მზრუნველობასაც.

ჩუმად ატარებდა გულში დიდი ტკივილს, იშვიათად, მაგრამ მაინც იმეორებდა „მე მიყვარს ჩემი მოსწავლეები, არაფერი მენანება მათთვის, მაგრამ ჩემს შვილს მეტი დრო უნდა დავუთმოო"...

1984 წლიდან სამუსიკო სკოლამ მუშაობა განაახლა ახალ სამსართულიან შენობაში. ქალბატონ გალინა ჩიხლაძის გარდაცვალების შემდეგ სკოლის მცირე საკონცერტო დარბაზს სწორედ ამ ვალმოხდილი ქალბატონის სახელი მიენიჭა. არაერთხელ ჩატარებულა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები, საკლასო კონცერტები, კონკურსები...

9 მარტი კი-გალინა ჩიხლაძის დაბადების დღე-ჩვენი წარსულის მოგონებად იქცა. ჩვენი ურთიერთობა იყო დიდი პატივისცემის, მზრუნველობის, ერთგულების გამოხატულება. ჩემს ცხოვრებაში უდიდესი კვალი დატოვა ამ ყოველმხრივ განათლებულმა, ერუდირებულმა დახვეწილმა ქალბატონმა.

ლია ქობალავა,
მუსიკათმცოდნე, სენაკის საპატიო მოქალაქე

◇◇◇

პოლონელი ქალბატონის ცხოვრება კოლხურ ქალაქში
ნადეჟდა გვაძაბია (1930-2000წწ.)

ჩვენი ქალაქის სინამდვილეში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქალბატონები, რომლებმაც მთელი თავიანთი ცოდნა, ენერგია, გამოცდილება, შემოქმედებითი უნარი ხელოვნებას მიუძღვნეს, — ასეთ ქალბატონთა რიცხვს განეკუთვნებოდა ეროვნებით პოლონელი, ხალიჩების კომბინატის მთავარი მხატვარი, ამავე დროს ხალიჩების და გობელენების შემოქმედი, გრაფიკოსი ნადეჟდა ერესენკოვა-გვაძაბია.

27 თებერვალს სენაკის სამხატვრო სკოლაში მუნიციპალიტეტის ხელოვნების განვითარების ცენტრის (დირექტორი ვ. ვეფხვაძე) მხარდაჭერით გაიმართა ნადეჟდა გვაძაბიას სხოვნის საღამო. საღამოს ინიციატორები იყვნენ ნადეჟდას მეგობრები. ღვაწლმოსილი ინჟინერი ზაირა ფაჩულია, მუსიკათმცოდნე ლია ქობალავა, სენაკელი მხატვრები.

ხელოვანი ქალბატონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალები გაიხსენეს სენაკის სამხატვრო გალერიის სპეციალისტმა ლერი კართხიამ, ნადეჟდას მეგობრებმა: ზაირა ფაჩულიამ, ლია ქობალავამ, ზეინაბ ყურაშვილმა, მედეა წირღვავამ.

საღამოში მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო სკოლის პედაგოგის გოჩა ჯგერენაიას მოსწავლეებმა ნორჩმა გიტარისტებმა ალექსი გვასალიამ, ნიკა ჯანგველაძემ, პედაგოგ ლია ქობალავას წარჩინებულმა მოსწავლეებმა (მუსიკის ლიტერატურა) ქრისტინე გეგეჭკორმა, თამარ ალანიამ, მეა მარშანიამ.

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ კახა კუპრეიშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი ღონისძიებები ეხმარება საზოგადოებას უფრო კარგად გაიცნოს ქართველი ხელოვანის მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა. დასაფასებელია ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის სივრცეში მოღვაწეობდნენ ისეთი დიაპაზონის მქონე ხელოვანები, როგორიც იყო ნადეჟდა გვაძაბია. მხატვართან ურთიერთობის შტრიხები გაიხსენა ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლმა გრიალა ანთიამ.

ნადეჟდა გვაძაბია იყო ყოფილი სსრკ მხატვართა კავშირის წევრი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, რესპუბლიკური და საკავშირო გამოფენების აქტიური მონაწილე.

ნადეჟდა ლვოვის დეკორატიული გამოყენებითი ინსტიტუტის სტუდენტი იყო, როცა სამუშაოდ ხალიჩების კომბინატში მივიდა. ის განუზომელ პატივს სცემდა რეზო გვაძაბიას. მეუღლე გვერდით ედგა და შემოქმედებით შრომას უადვილებდა.

გვინდა მკითხველს შევთავაზოთ წინსიტყვაობა ნადეჟდა გვაძაბიას ნამუშევრების კატალოგიდან, რომლის ავტორები არიან მზია ქირია და ველმირ ჩემია.

„მხატვარ ნადეჟდა გვაძაბიას შემოქმედებითი მოღვაწეობა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.როგორც ქ. ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის მხატვარი, იგი დიდი ენთუზიაზმით ეკიდება ქართული ჟაკარდული ხალიჩის მაღალმხატვრული ნიმუშების შექმნის საქმეს, როგორც ფერმწერი, დაუსრულებლივ ეძიებს მხატვრული გამომსახველობის საშუალებებს, რაც მის ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს განუმეორებელ იერს ანიჭებს.

მისი ესკიზებით შექმნილი ხალიჩები სხვადასხვა დროს წარმატებით იქნა ექსპონირებული როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე თბილისში, მოსკოვში, პარიზში, კაიროში, ბრიუსელში, ბერლინში, იზმირში, „საპატიო ნიშნის" ორდენით-მთავრობის მაღალი ჯილდოთი აღინიშნა მისი მხატვრული მიღწევები გამოყენებით ხელოვნების ამ სფეროში.

მხატვრის შემოქმედება განსაკუთრებით ფართოდ და სრულიად წარმოჩინდა 1982 წელს ქ. მოსკოვში მოწყობილ მის პირველ პერსონალურ გამოფენაზე. ამჟამად მისმა პერსონალურმა გამოფენამ ქ. ცხაკაიას სურათების გალერეის საექსპოზიციო დარბაზებში გადმოინაცვლა. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრები მისი შემოქმედებითი ინტერესების მრავალმხრივობაზე მეტყველებს.

მხატვრის შემოქმედებითი დიაპაზონი განსაკუთრებული სიცხადით გამოფენაზე წარმოდგენილ ხალიჩებში ვლინდება. მათში მცენარეული ორნამენტები ორგანულად ერწყმის განზოგადებულ კოლორიტულ გამას, ლირიული განწყობა იგრძნობოდა ხალიჩაში „ქართული ორნამენტული", ზედმიწევნით გრაფიკულია ხალიჩის „ნაკვერჩხლები ბუხარში" სტრუქტურა, მაგრამ მისი ზედაპირის ამდაგვარი სახე ოსტატურად ნეიტრალდება მონაცრისფრო-შავ ფერებში, ოჯახური ყოფის სიმყუდროვე სუფევს მასში.

დახვეწილი კოლორისტული გადაწყვეტით გამოირჩევა ხალიჩა „ოქროსფერი შემოდგომა", მასში მცენარეული ორნამენტების მხატვრისათვის ჩვეული სისადავე და ნატიფი ფერადოვნება კომპოზიციურ მთლიანობას ქმნის. იგი ქარვისფერი შემოდგომის ლამაზ იმიტაციად წარმოგვიდგება.

ჟაკარდული ხალიჩის წარმოება რთულ და ხანგრძლივ ტექნოლოგიურ პროცესთან არის დაკავშირებული. მხატვარი უშუალოდ და აქტიურად მონაწილეობს წარმოების ორგანიზაციის თითოეულ სტადიაში, რათა ესკიზებში განსახოვნებული მოტივები სრულყოფილად წარმოჩინდეს ხალიჩაში.

სულ სხვაა მისი ფერწერა-მძაფრი, დინამიური რელიეფური ფაქტურისა. აქ მკაფიოდ ჩანს სწრაფვა მხატვრული გამომსახველობის ჰარმონიულობისაკენ. ფერწერული ხედვის ემოციური განცდა მის ტილოებს შთამბეჭდავ მხატვრულ იერს ანიჭებს.

პეიზაჟური მოტივები გარკვეული სახის ფერწერულ წყობად ყალიბდება და კოლორიტული აზროვნების მაღალ ნიმუშად წარმოგვიდგება... გარემომცველი სამყაროს ცალკეული მონაკვეთები კი არ აინტერესებს მხატვარს, არამედ ის ერთ მთლიანობაში აღიქვამს და განიცდის ბუნების სახეს... ზეცას, ღრუბლებს, ცადაჭრილ ხეებს. („გურზუფის პეიზაჟი") პეიზაჟის სიღრმის შეგრძნება ტონალური წყობით მიიღწევა, კონტურები თითქმის წაშლილია... ყველაფერი იძერწება საღებავის სქელი და მჭდრო მონასმებით, ასე გადმოსცემს მხატვარი გურზუფის ბუნების შემოქმედებით ხილვებს...

თბილი ტონალური გადაწყვეტით გამოირჩევა „გიზოს პორტრეტი". ფერწერული სტრუქტურის ერთ მთლიან მასაში ყმაწვილის სევდიანი სახე იკითხება, რომელიც ერწყმის სურათის კოლორიტის განწყობას. აქ მიღწეულია ფერწერული ჰარმონია.

სხვაგვარი გააზრებითაა გადაწყვეტილი „მეზღვაურის პორტრეტი". თავისებურია კომპოზიცია, ფიგურა შეუმჩნევლად ერწყმის ზღვის მოცისფრო ლივლივს. კაპიტნის მშვიდი, მაგრამ შინაგანად მღელვარე სამყაროს შესატყვისია ბუნების ფერადოვნება.

„ყვავილები" მხატვრის ბოლო ნამუშევარია, მასში აშკარად გამოიკვეთა ფერმწერის კოლორიტული ამოცანები, უნარი ერთ მთლიანობაში გაიაზროს მის წარმოსახვაში ჩამოყალიბებული მხატვრული მოტივი, თეთრით, ნაცრისფერით და უმბრით შექმნას ფერწერული შეგრძნების განუმეორებელი გამოხატულება, ემოციურ ფერადოვან აკორდებს რომ ქმნის და გარემომცველი სამყაროს პლასტიურ სახოვნებას ესადაგება. არავითარი დეტალიზაცია, დაწვრილებით თხრობას რომ გულისხმობს, არამედ აქტიური შემოქმედებით ფანტაზია მხატვრისა, რომელსაც გრძნეული პალიტრა ეხმიანება... (მ. ქირია, ვ. ჩემია, 1985წ).

ნადეჟდა გვაძაბია 2000 წელს 69 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი საქმეების და პროფესიის გამგრძელებლად დარჩა ქალიშვილი ელიკო გვაძაბია.

ნადეჟდა გვაძაბიას სული მის ხელოვნების ნიმუშებში აგრძელებს უკვდავ სიცოცხლეს. რომ არა სიკვდილი, შემოქმედებითი მიზანდასახულობით აღსავსე და ამოუწურავი ნიჭის ქალბატონი კიდევ მრავალ ექსპონატს შესმატებდა ჩვენს ქალაქს.

უდაოდ მადლობის ღირსი არიან ის ადამიანები, რომლებმაც გადაწყვიტეს შეეხსენებინათ ჩვენი ქალაქის შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის პოლონელი ქალბატონის ნადეჟდა ერესენკოვა-გვაძაბიას მიერ განვლილი გზა და ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის მას ქართული ფერწერის და გრაფიკის განვითარებაში.

მოამზადა მ. ეჯიბიამ

ამონარიდი ქალბატონ მედეა წირღვავას გამოსათხოვარი სიტყვიდან ნადეჟდა გვაძაბიას დაკრძალვის დღეს

... ნადია, მინდა მოვიგონო ერთი სენტიმენტალური ეპიზოდი ჩვენი მეგობრობიდან, ინსტიტუტი ახალი დამთავრებული მქონდა, ვმუშაობდი რაისაბჭოს აღმასკომში. რაიონში მოსკოვიდან სტუმრად ჩამოვიდნენ სოციოლოგები, დამევალა მათი მეგზურობა. მათ შორის ერთი პოლონელი იყო, ვიწრო წარმომადგენლობითი წრე ჩემი ინიციატივით და შენი თანხმობით შევიკრიბეთ შენთან პოლონელ სტუმართან ერთად, იმ საღამოს ნაციონალურ ამპლუაში მოექეცი. ისაუბრეთ მშობლიურ ენაზე, უკრავდა პოლონური მუსიკა. ნაციონალურ ტანსაცმელში შენ შეასრულე პოლონური ცეკვა. ჩვენ მაშინ ყველა სევდიანი ემოციებით დავიმუხტეთ. ეს იყო შენი ბავშვობასთან დაბრუნება, წარსულის ნოსტალგია.

ნათქვამია „არაფერი არ იქმნება არაფრისაგან და არაფერი არ იქცევა არარად". ამით იმის თქმა მინდა, რომ ხალიჩების კომბინატი, რომელიც შენი ცხოვრების პირველი ნაბიჯი იყო და დარჩა ბოლომდე შენი მაღალი შემოქმედების პლაცდარმად, დრომ თან წარიტაცა, საქართველოში ნგრევის ცნობილ მოვლენებს შეეწირა და შენ სრულ სიცარიელეში აღმოჩნდი. იყავი ძლიერი და მოზღვავებულ განცდებს შინაგანად ებრძოლე. ებრძოდი ხალიჩებთან დაკავშირებულ შემოქმედებით განშორებას. გზა ფერწერას დაუთმე, მაგრამ აქაც დროის სოციალურმა ფაქტორმა ითამაშა და საღებავებისა და სხვა ატრიბუტების შეძენის ფინანსურმა სიძნელეებმა შენი შემოქმედება დაამუხრუჭა. და მაინც ცხოვრებას ჩვეული სიმხნევით მიყვებოდი. გქონდა დიდი ოპტიმიზმი. მაგრამ ხშირად შენს სულში სევდა ისადგურებდა, მაშინ შენ არავის არ ეკუთვნოდი. იქნებ შორეული წარსულის ნოსტალგია გაწუხებდა და მაინც მიუხედავად ყველაფრისა წლებმა შენში იმდენად ჩამოაყალიბა ქართული, რომ ამ ხასიათებმა საკუთარ შემოქმედებაში ჰპოვა ყველაზე თვალსაჩინო ასახვა. ავადმყოფობის პერიოდშიც კი თავს არიდებდი ხორციელ ტკივილებზე საუბარს, მშვიდად განაგრძობდი შენს ჩვეულ საქმეს და ინარჩუნებდი სულის სიმშვიდეს.

შენი სიკვდილი პათეტიკური იყო. ჩუმად წახვედი, შენ გარდაიცვალე-დრო შენს სიცოცხლეს არ წაშლის. შენზე იტყვიან, შენზე დაწერენ, შენს შემოქმედებაზე იმუშავებენ. ჩვენ კი საამაყოდ დაგვრჩება ხელოვანი ქალბატონის გაცილება იმ უკანასკნელ გზაზე, საიდანაც არ ბრუნდებიან.

შენ შესძელი გეცხოვრა შემოქმედებით პირის ცხოვრებით, პირისა, რომელიც კმაყოფილია საკუთარი ხვედრით და რომლის ბედნიერებისათვის სავსებით საკმარისია საკუთარი მართლმოღვაწეობა და სიკეთე.

თანაბარი უფლებების დაცვა ყველა სფეროში - აი, რა სჭირდებათ ქალბატონებს

თამარ მალანია დაიბადა 1995 წლის 9 მაისს, ქალაქ თბილისში. ატარებს აღმზრდელი ბებიის, დამსახურებული პედაგოგის, სამამულო ომის ვეტერანის, თამარ მალანიას სახელს. დაამთავრა ქალაქ სენაკის N1 საშუალო სკოლა, შემდეგ კი საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ტრენინგებსა და კონფერენციებში, მათ შორის: „გაეროს მოდელირების ასოციაცია"- „ქუთაისის გაეროს მოდელირება 2015",საქართველოს უნივერსიტეტის კლუბი „UG Training Club" - „სესია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების შესახებ" „კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი" – „გენდერი, გენდერული თანასწორობა", საქართველოს უნივერსიტეტი- „ტოლერანტობის კვირეული" თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრი-„პირველი ახალგაზრდული კონფერენცია- თბილისი- ევროპის ახალგაზრდული დედაქალაქი 2020",„მშვიდობის განვითარების ცენტრი"- „სადისკუსიო პლატფორმა სამშვიდობო საკითხებზე". „STEP/სტეპი" - „მომავალ სპიკერთა (პრეზენტატორთა) სკოლა 2017", „კომუნიკაციის ხელოვნების შესწავლა".სტუდენტობის პარალელურად მუშაობდა სხვადასხვა კორპორაციულ დაწესებულებებში. 2016 წელს იყო მიწვეული აკადემიური გუნდის ლიდერად,ჟიურის წევრად პროექტში „მომავალ სპიკერთა სკოლა 2017".

უყვარს კითხვა. საყვარელი მწერალი ბევრი ჰყავს, თუმცა გამოარჩია დოსტოევსკი, როგორც სიღრმისეულად წარმომჩენი ფილოსოფიური საკითხებისა. საყვარელი მომღერალია - Sade.

თამარი 2015 წლიდან ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაცია „გარემოსდაცვით ეკოლოგიურ ასოციაცია „დეა"-ს. მისი ხელმძღვანელობის პერიოდი გამოირჩევა პროექტების მრავალფეროვნებით, კრეატიული ღონისძიებებით, ახალგაზრდების ჩართულობით. 2015 წლიდან დღემდე „დეამ" განახორციელა 10 ინოვაციური პროექტი, როგორც სენაკსა და მის სოფლებში, ასევე მეზობელ მუნიციპალიტეტებში, კერძოდ მარტვილში.

ინტერვიუში ახალგაზრდა ლიდერი ქალი ეკოლოგიური ასოციაცია „დეას" განხორციელებულ პროექტებზე, მომავლის ამოცანებზე, საზოგადოებაში ქალის როლზე საუბრობს.

გარემოს დაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია „დეას" განხორციელებული პროექტებიდან რომელს თვლით ყველაზე მნიშვნელოვნად?

ჩვენი გუნდის მიერ განხორციელებული პროექტები თავისი არსით ყველა მნიშვნელოვანია. თუმცა გამოვარჩევდი „მწვანე ყუთი -მყარი ნარჩენების თანამედროვე მეთოდების(რეციკლირება,სეპარირება) პოპულარიზაციისა და დანერგვისათვის სენაკის მუნიციპალიტეტში. ეს იყო პროექტი, რომელიც განვახორციელეთ 2015-2016 წლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში დავიწყეთ ნარჩენების სეპარირება. გახსოვთ ალბათ, მწვანე ყუთები პოლიეთილენის ბოთლებისთვის განვათავსეთ სენაკის ცენტრალურ ადგილებსა და სოფლებში, ტურისტულ ზონასა და სენაკი-ლესელიძის მთავარ გზაზე და მწვანე ყუთები მაკულატურისათვის საჯარო დაწესებულებებში. ძალიან მიხარია, რომ ეს ყუთები(რომლებმაც დროს გაუძლო) შემორჩა სენაკის სკვერებს და ვაგრძელებთ უმნიშვნელოვანესს პროცესს-სეპარირებას. მოგეხსენებათ, საქართველო ასოცირების ხელშეკრულების თანახმად წელს იწყებს ნარჩენების მართვის კუთხით მუშაობას და მუნიციპალიტეტებში დაგეგმილია მყარი ნარჩენებისათვის სპეციალური ყუთების დადგმა,სეპარირების პროცესის დაწყება, რაც ჩვენ რეალურად დავიწყეთ 2015 წელს და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ვიყავით პირველები, ვინც განახორციელა ეს საქმე. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს პროექტი შეტანილია, როგორც საუკეთესო პრაქტიკა UNDP კატალოგში, როგორც სამოქალაქო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი როლი რეგიონალურ განვითარებაში.

თამარ, რა ღონისძებებს ატარებთ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის?

ჯანსაღი ცხოვრების წესი, მოგეხსენებათ, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ადამიანის და, კონკრეტულად, ჩვენი ბენეფიციარების ცხოვრებაში. ჩვენ ხელს ვუწყობთ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ხელი შევუწყოთ მის დანერგვას. ამ მიზნით ჩაგვიტარებია რა სემინარები და ტრენინგები, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მომავალი ბარიერების გარეშე" ფარგლებში მოწვეული გვყავდა „ კლინიკა არქიმედეს" მთავარი ექთანი ქ-ნ ნანა დემურია, რომელმაც ჩაატარა ტრენინგი ჩვენს ბენეფიციარებთან „ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორები", რომლის ფარგლებშიც ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ცნობიერება აუმაღლდათ ახალგაზრდებს, ასევე ჩავატარეთ სპორტული შეჯიბრებები ფეხბურთსა და სხვა სპორტულ სახეობებში, პრობაციონერ და სენაკში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის, მათი წახალისების მიზნით დავაჯილდოვეთ ისინი სხვადასხვა სახის პრიზებით. ამ გზით ხელი შევუწყვეთ არა მხოლოდ ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, არამედ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების ინტეგრაციას საზოგადოებასთან. სწორედ ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგავასა და პოპულარიზაციას ემსახურებოდა მიზნად ჩვენი პროექტი „სპორტი ყველასთვის", რომელიც მოხალისეობრივად, „ორბელიანი საქართველოს" მხარდაჭერით განვახორციელეთ სოფ.ძველ სენაკში.მოვაწყვეთ სპორტული სივრცე, შევიძინეთ სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი, სკოლას გადავეცით ფრენბურთისთვის საჭირო ინვენტარი, ცენტრალურ ეზოში მოვაწყვეთ დასასვენებელი ზონა, ჩავდგით სკამები,რათა სპორტული ღონისძიებებისთვის მაყურებელი ყოფილიყო კომფორტულ მდგომარეობაში.ეს იყო პოზიტიური ცვლილება, რომელმაც წაახალისა სოფლის ახალგაზრდები და ნებისმიერ დროს აქვთ საშუალება ისარგებლონ მოედნით და მოაწყონ შეჯიბრებები.მათ გადავეცით ასევე ჭადრაკი შშმ პირების სპორტულ ცხოვრებაში ჩართვის მიზნით.ამ იდეის განხორციელებისთვის,სოფელში დანერგილი პოზიტიური ცვლილებისათვის დიპლომით დონორმა ორგანიზაციამ დაგვაჯილდოვა საზოგადოებისთვის სასიკეთო საქმიანობისათვის.

დღევანდელ რეალობაში აქვს თუ არა ქალს და მამაკაცს თანასწორი სასტარტო პირობები და ცხოვრებისეული შესაძლებლობები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის?

ჩემი აზრით, რაც უფრო დრო გადის, მით უფრო ძლიერდება ქალის როლი საზოგადოებაში. რაც უფრო მეტს ვსაუბრობთ ქალთა უფლებებზე, საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე, რაც უფრო მეტ აქტივობას ვახორციელებთ ქალთა ჩართულობის მიზნით მათივე გაძლიერებისთვის, მით უფრო რეალურია ქალების სრული რეალიზაცია. ადრეულ პერიოდებში უფრო რთული იყო შესაძლებლობების გამოვლენა, ძირითადი აქცენტი მამაკაცებზე იყო აღებული, გადაწყვეტილების მიმღები პირები ისინი იყვნენ, მამაკაცებს უფრო მეტი ხელფასი ჰქონდათ და ა.შ. დღესდღეობით კი ქალები აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადო ცხოვრებაში. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის, რომ საქართველოს ჰყავს პირველი ქალი პრეზიდენტი, რომელიც არის ასევე, მთავარსარდალი, საქართველოში არიან წარმატებული ლიდერი ქალბატონები, რომლებსაც აქვთ უნარი მართონ,მიიღონ მონაწილეობა დიპლომატიურ მოლაპარაკებებში და ეს ძალიან კარგად გამოსდით. ამიტომ ვფიქრობ,რომ დიახ, ქალსა და მამაკაცს აქვთ თანასწორი პირობები გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობა და ეს ასეც უნდა იყოს.

თქვენი ორგანიზაციის მთავრი მიზანი არის გარემოსა და ეკოლოგიის დაცვა, თუმცა არაერთი პროექტი გაქვთ განხორციელებული ადამიანის უფლებების დაცვაზე, ადვოკატირებაზე ქალთა უფლებების შესახებ. როგორ უკავშირებთ ამ საკითხებს ერთმანეთს?

სიმართლე რომ გითხრათ ძალიან მარტივად. ბავშვობიდან ვიყავი დაკავშირებული ორ უძლიერეს ორგანიზაციასთან- გარემოსდაცვაზე მომუშავე „მწვანეთა მოძრაობასა" და ქალთა უფლებებზე მომუშავე „კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმთან", სადაც დედა საქმიანობდა. შესაბამისად ეს საკითხები ბავშობიდან იყო ჩემში გამჯდარი და მეც ვიღებდი მონაწილეობას მათ ღონისძიებებში, დავამთავრე ლიდერ-გოგონათა სკოლა, როგორც „მწვანეთა მოძრაობაში",ასევე „ფონდ სოხუმში". როდესაც მხვდა წილად ასოციაცია „დეას" თავმჯდომარეობა, 2015 წელი საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა გამოაცხადა ქალთა წლად, სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით მატულობდა ქალთა მიმართ ძალადობა და ეს საკითხები დღითიდღე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. კლიმატის ცვლილებები და მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა არასათანადო პირობებში გაუსაძლისს ხდის ქალების ცხოვრებას, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრები ქალებისას. თუ ქალს არ აქვს სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები, მისი შრომა ხდება გაუსაძლისი. ჯანსაღ გარემოში ცხოვრება კი კონსტიტუციურად დაცული საყოველთაო უფლებაა და ამ უფლებით უნდა ვსარგებლობდეთ ყველა და ამ უფლებას უნდა ვიცავდეთ ყველა. სწორედ გარემოს დაცვისა და ქალთა უფლებას ეხება ჩვენი ახალი პროექტი, „სამოქალაქო განათლება სოფლად მცხოვრები ქალებისათვის წყლის,სანიტარიისა და ქალთა უფლებების შესახებ" ,რომელიც ხორციელდება „ქალთა ფონდი საქართველოში" ფინანსური მხარდაჭერით ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის „ქალები2030 / WOMEN2030" ფარგლებში, რომლის მიზანია არაფორმალური განათლების გზით ცნობიერების ამაღლება სენაკის სოფლების ახალსოფელი, ეკი,ზანა,უშაფათი აღსაზრდელებსა და მათი მშობლებისათვის წყლის,სანიტარიის, ქალთა უფლებების შესახებ.

ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი ბირთვი შედგება ქალბატონებისაგან,რომელთაც აქვთ

სხვადსხვა სფეროში მუშაობის წარმატებული პრაქტიკა,რაც წარმატებულს ხდის პროექტების შედეგებს.

როგორია ასოციაცია „დეას" სამომავლო გეგმები?

ამ ეტაპისათვის გვაქვს ორი მიმდინარე პროექტი, „ადამიანის უფლებები დოკუმენტური ფილმებით", რომელიც დაფინანსებულია ჩეხური საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია PEOPLE IN NEED მიერ, ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, TRANSITION პროგრამის ფარგლებში და მეორე, „სამოქალაქო განათლება სოფლად მცხოვრები ქალებისათვის წყლის-,სანიტარიისა და ქალთა უფლებების შესახებ", რომელიც ხორციელდება „ქალთა ფონდი საქართველოში" ფინანსური მხარდაჭრით. პარალელურ რეჟიმში მონაწილეობას ვიღებთ სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში უკვე სოფლის მეურნეობს კუთხით და მოლოდინის რეჟიმში ვართ. ასევე, ვაგრძელებთ ჩვენს საავტორო პროექტს „აღმოაჩინე მწვანე", რომლის ფარგლებშიც აღმოვაჩენთ „მწვანე" პიროვნებას სხვადასხვა თანამდებობის პირებსა თუ გადაწყვეტილების მიმღებ პირებში.ჩემთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება,რომ „დეას" ყველა იდეა და პროექტის პირველი გულშემატკივარი," პარტნიორი"და კრიტიკოსი არის ჩემი და, რომელიც თავისი კრეატიული იდეებითა და გენდერულ საკითხებში მიღებული ცოდნით საუკეთესო მასწავლებელია.

როგორია თქვენი დამოკიდებულება 3 და 8 მარტისადმი, დედის და ქალთა დღესასწაულებისადმი?

3 მარტი, დედის დღე, ჩემთვის არის ყველა დედის დაბადების დღე. ამიტომაც ვულოცავ ხოლმე ყველა ქალბატონს, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს დედა არის თუ არა, შეიძლება მომავალი დედა იყოს, ჰყავდეს დედა ან ჰყოლოდა...ალბათ, სასწაულებრივი შეგრძნებაა, როცა დედა ხარ. დედებს ხომ შეუძლიათ ვუყვარდეთ უპირობოდ, უანგაროდ, გააკეთონ ჩვენთვის შეუძლებელი. დედის სითბოს ვერაფერი შეცვლის და მისი დაკარგვა ყველა ასაკის ადამიანისთვის არის ურთულესი. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მივულოცო ყველა ქალბატონს დედის დღე და ვუსურვო ქალური ბედნიერება! გავუფრთხილდეთ დედებს, ხშირად ვუთხრათ, რომ გვიყვარს და მადლიერები ვართ მათი!

რაც შეეხება 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, ჩემთვის უფლებების დღე უფრო არის, ვიდრე ყვავილების. 8 მარტი მამაკაცების მხრიდან ქალების მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოხატულებად იქცა და, ამ დღესთან დაკავშირებით პატივისცემის ნიშნად ჩუქნიან მათ ყვავილებსა და სხვადასხვა საჩუქრებს. მე ვფიქრობ, რომ ეს არის უფლებების დაცვის დღე და ქალებს ყვავილების მიღმა სჭირდებათ მათი აღიარება, თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების დაცვა ყველა სფეროში. ქალთა საერთაშორისო დღის დაარსების მიზანიც ხომ სწორედ მოწოდება იყო მსოფლიოს ყველა ქალებისთვის, ებრძოლათ თანასწორობისთვის.

ვულოცავ ყველა ქალბატონს ქალთა საერთაშორისო დღეს და ვუსურვებ ეცხოვროთ თანასწორუფლებიან ქვეყანაში, სადაც დაფასებულნი იქნებიან როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში.

მოამზადა ნ. მურღულიამ

„გზა მივცე ახალს"

გიორგი გარუჩავა წარმატებული და რესპუბლიკაში წარმოჩენილი ახალგაზრდაა. საქართველოს პარლამენტის აპარატის სპეციალისტი (პროფესიით იურისტი) საკანონმდებლო და შემოქმედებით საქმიანობას ჰარმონიულად უთავსებს ერთმანეთს.

გაზეთ „კოლხეთში" მისი არაერთი ლექსი, ჩანახატი და კორესპონდენცია დაიბეჭდა, რასაც დიდი მოწონება ხვდა წილად.

ლექსში „რას ლაპარაკობს ჩემი ქვეცნობიერი" აღწერილია ავტორის გარემომცველი სამყარო, ძველ, არქაულ, მისტიკურ ჭიდილში იკვეთება „ძველი შენობის დანგრევის" და ახლის შექმნის სურვილი - საჭიროა ადამიანმა დაღლილ სულს და სხეულს ახალი სიცოცხლე შთაბეროს.

რედაქცია გიორგი გარუჩავას უსურვებს პროფესიულ წინსვლას, ახალ შემოქმედებით წარმატებებს და პირად ბედნიერებას.

რას ლაპარაკობს ჩემი ქვეცნობიერი

სადღაც, სამყაროს ბოლო წერტილს წამოვკარ ხელი,
სადღაც, სიმშვიდის ასპარეზი შევიცან ვრცელი,
ეს არის რაღაც საოცარი შეგრძნება ძველის,
გულწრფელი, რთული, არქაული, სრულიად ბნელი.
დიახაც ბნელი, მწველი, გრძელი და მრავლისმთქმელი,
ხანაც უთქმელი, გულდამჯდარი, ურჩიც და ძნელი,
მინდა რაღაცა მისტიკური შევიცნო ჩემში,
წუთისოფელი რუტინაა, არსებობს ბევრში.
მინდა ვიფრინო, გავიარო კოსმოსურ ხვრელში,
რომ დავიწყებას მივცე თუნდაც ამქვეყნიური,
მინდა ცხოვრება გავიხადო მე მისტიკური...
იყო დრო როცა, მისთვის ვუხმე ელინელ ღმერთებს,
ოლიმპოს მთაზე გავაჩაღე საიდუმლო სერობის მსგავსი,
ხან ზევსი იყო მეგობარი, ხანაც თვით მარსი,
ეს იყო მაშინ, როცა ჩემში სუფევდა ბავშვი,
მერე რომს წავწვდი მარადიულ დიდებას ჩვენსას,
ბერძნული სულით გამდიდრებულ კულტურის თესვას,
გამოვიარე მე მსოფლიოს სხვადასხვა ტომი,
მერე იყო და მე მომბეზრდა სულყველგან ომი.
ეს იყო მაშინ, როცა ვიყავ სრულიად ბავშვი,
როცა ვიჯექი რომანტიზმით გამჯდარი სახლში.
და რა ხდებოდა? – უცხო სიტყვა მომრავლდა თავში,
არა, სათქმელი უნდა ითქვას მარტივად ხმაში,
დავეხეტები მე მიწაზე ვითარცა მთვრალი,
დიახ მთვრალი, გაუბედავი თითქოსდა მხდალიც,
ამას შენთვის ვწერ, რომ შეპარვით გითხრა სათქმელი,
რომ ჩემს გარდაცვლილ სულს მივუძღვნა მცირე სანთელი;
შენ ამ სამყაროს უკიდურეს წერტილში მჯდარი,
მიუწვდომელი, მოთამაშე, ჩემსავით მხდალი,
ხარ სასწაული, უნებლიედ დამადე კვალი,
საიდან მოხველ, საიდან ხარ, საით გაქვს თვალი.
მითხარი რისთვის ამირიე წესრიგი ყოფის,
თავი მარიდე, დამეხსენი, მე ტანჯვა მყოფნის,
ამოუცნობი შენ დარჩები ფასეულობა,
გეყოს ამდენი მაცდურობა და გულგრილობა,
მაწვალებს რაღაც, მაგრამ რაა ეს საოცრება?
ეს არის ის რაც, დღემდე რჩება ჩემში ოცნებად,
კითხვები ისმის, კითხვად რჩება ეს სასწაული,
რითმა გამირბის, ის არ არის დღეს გამართული...
და ბოლოს მინდა შევეჭიდო მე წესრიგს დებულს,
ჯაჭვი გავწყვიტო, შვება მივცე მე ყველა გვემულს,
მორალურ ნორმებს შევუცვალო მიზანი, გეზი,
გამოვაფხიზლო, წამოვაგდო, შემოვკრა დეზი.
და დავანგრიო არსებული შენობა ძველი,
გზა მივცე ახალს და დავუდო მე საფუძველი...
ეს არის ჩემი საიდუმლოს ურდული ალბათ,
მინდა შევაღო და გავუხსნა მე ყველა მავანს!

გიორგი გარუჩავა

საგვარეულო ერთობის საუკეთესო მაგალითი

გვარის შეკრება აფაქიზებს და ალამაზებს ადამიანთა ყოფას. ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად აახლოებს ერთმანეთს, წინაპართა პატივისცემას, სიყვარულს ასწავლის ახალგაზრდებს, რომლებიც თავიანთ მხრივ შემდგომ თაობებს გადასცემენ ამ ტრადიციებს.

კვირკველიების სენაკის საგვარეულოს კავშირის ინიციატივით, ჭეშმარიტი სენაკელის, იურისტის-კახა კვირკველიას თაოსნობით ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები კვირკველიების გვარის შეკრება. ყველაზე მნიშვნელოვანი და საზოგადოებისათვის ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ აქციას შეუერთდნენ ხარბედიების, გვასალიების, ადამიების, შამათავების საგვარეულოს წარმომადგენლები, საპატრიარქოს ჩოხოსანთა სენაკის სადროშოს წევრები.

17 მარტს, 15 საათზე სენაკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში მამა ეროსიმ აღავლინა ღვთისმშობლის პარაკლისი ქართული ოჯახების და ქართული სახელმწიფოს ძლიერებისათვის.

კვირკველიების საგვარეულო კავშირის მიერ შეძენილ იქნა 170-მდე ძირი ნეკერჩხლის და კიპარისის ნერგები. წვიმიანი ამინდის მიუხედავად ქალაქის ცენტრალურ პარკში სიმბოლურად დაირგო კიპარისის ხეები. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის ინფორმაციით ნერგები რეგულარულად დაირგვება გამოყოფილ უბნებში.

ჩვენ გავესაუბრეთ ღონისძიების ორგანიზატორებს და მონაწილეებს.

კახა კვირკველია, კვირკველიების სენაკის საგვარეულო კავშირის წარმოადგენელი - შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ნამდვილად გავხდით მისაბაძი სხვა გვარებისათვის. ჩვენს საგვარეულოს კავშირს აქვს შორს მიმავალი გეგმები. დღეს საგვარეულო შეკრებაზე განვიხილეთ აქტუალური საკითხები: საგვარეულო ხატის მოძრაობა გაგრძელდეს სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ თეკლათიდან ქალაქ ფოთში, მიმდინარე წლის ივლისამდე შემოსულობებით რესტავრაცია ჩაუტარდეს კვირკველიების საგვარეულო წმინდა ივლიტა და კვირიკეს ხატს, დაწესდეს საგვარეულოს მინიმალური ფულადი შენატანი ბათუმში ტერენტი გრანელის ბიუსტის განთავსებისათვის(ხარჯთაღრიცხვის დაანგარიშების შემდეგ), კვირიკობის დღესასწაულის აღნიშვნა მიმდინარე წლის ივლისში მოხდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ოქტომბრის ბოლოს კვირა დღეს კვირკველიების ყოველწლიური შეკრება ჩატარდეს ქ. სენაკში.

სპეციალისტებთან ერთად ვმსჯელობთ და პრაქტიკულ ნაბიჯებს ვდგამთ ძველი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა-აღდგენაზე. მეგრელებს ჰქონდა 64 ჯიშის ვაზი, მათ შორის, რომლის აღდგენასაც ხელს შეუწყობთ სენაკში არის კოლოში, ჭვიტილური, მაჭყვადინა, დუდუში, ჩეჭიფეში, ასევე განიხილება მეგრული სხვა ჯიშების მოძიება და დამატებაც, რომელიც 2020 წლის გაზაფხულისთვის გამოიკვეთება. აღდგენილ უნდა იქნას ისეთი ძველი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა, როგორიცაა „ღომის ღომი", კოლხური ხორბლის 3 სახეობა „მახა", „ზანდური" და „კოლხური ასლი".

ქ.სენაკი აუცილებლად გახდება სხვა ქალაქების, რეგიონებისთვის მისაბაძი ქალაქი და ამას ჩვენგან მეტი სიყვარულით და აქტივობით უნდა მივაღწიოთ, სიკეთის კეთებას, ერისა და ქვეყნის მსახურებას არანაირი თანამდებობა არ ჭირდება, ყველა სიტუაციაში არსებობს გამოსავალი და ეს უფლის, ერისა და სამშობლოს სიყვარულია, გზა რომელიც აუცილებლად მივა ტაძრამდე. გვიყვარდეს ერთმანეთი, ვიაქტიუროთ პრაქტიკული საქმით და ჩვენ აუცილებლად შევქმნით უკეთეს მომავალს. დიდება უფალს!

გივი მისაბიშვილი, საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების სენაკის სადროშოს მეთაური – მივესალმები საგვარეულო კავშირის გაძლიერებისა და დედაეკლესიის წიაღში მათი გაერთიანების იდეას. მიხარია, რომ ეს პროცესი სენაკშიც აქტიურად მიმდინარეობს. ჩვენ დიდი სიხარულით ვუერთდებით და მხარდაჭერას ვუცხადებთ მათ სასიკეთო ინიციატივებს, რაც ქართული ოჯახების, ჩვენი მშობლიური კუთხის და ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობისკენაა მიმართული.

ზვიად გვასალია, ქორეოგრაფი.- შევიკრიბეთ გვასალიების გვარის წარმომადგენლები. გვარების გაერთიანებით კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. ეს ნამდვილად არის კახა კვირკველიას დამსახურება. ხეები რომელიც დავრგეთ არის სიმბოლო უკეთესი მომავლისა და ერთიანობისა.

შორენა ამირანაშვილი, ხარბედია - ჩემი მეუღლე ხარბედიაა, ძალიან მომეწონა დღევანდელი შეკრება. ყველას მინდა მივულოცო ეს დღე. ხარბედიებს გვაქვს საგვარეულო ხატი და გერბი, რომელიც დავაბრძანეთ ეკლესიაში.

ვიქტორ კვირკველია-2018 წელს ქალაქ ბათუმში კვირკველიების გვარის შეკრებაზე ამირჩიეს გაერთიანებული საგვარეულო კავშირის სათათბირო ორგანოს თავმჯდომარედ. საგვარეულო კავშირს აქვს თავისი ბიუჯეტი, ვეხმარებით სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ავადმყოფებს, ერთჯერადი დახმარება გავეცით 7 ოჯახზე.

2018 წელს გვქონდა შეკრება ლანჩხუთში, ქობულეთში, ოზურგეთში, ბათუმში, ქუთაისში, სამტრედიაში და სხვა ქალაქებში. წინა წლებში ძალიან მნიშვნელოვანი იყო მცხეთის და მარტყოფის სიწმინდეების მოლოცვა. პატივი მივაგეთ მამა ზაბულონის (კვირკველიას) საფლავს. წელს ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით გადაწყდა ბათუმში დაიდგას ტერენტი გრანელის (კვირკველიას) ძეგლი. გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი საარქივო მასალა, რომელზეც აღბეჭდილია კვირკველიების გვარის მოგზაურობის ამსახველი ფოტოები მთელ საქართველოში და სხვა მასალები გვარის წარმომავლობაზე. ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი დღით. სენაკმა მოგვცა მაგალითი საგვარეულო კავშირების გაერთიანების.

გულსუნდა კვირკელია, ოზურგეთის მკვიდრი - ვარ მარტოხელა დედა, მყავს სამი შვილი, საგვარეულო კავშირმა გამიწია ერთჯერადი ფულადი დახმარება. ჩვენი გვარი დგას სულიერების გზაზე და ეს ძალიან მახარებს.

მზია კვირკველია, ლანჩხუთის „ქალთა კლუბის ხელმძღვანელი"- ძალიან მომეწონა თქვენი ქალაქი, ჩვენს კლუბს დიდი წვლილი შეაქვს ძუძუს კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის სკრინიგული პროგრამების პოპულარიზაციის საქმეში. ჩემი სურვილია ყველა ქალბატონი იყოს ჯანმრთელი, რა გვარის და წარმომავლობის არ უნდა იყოს ის.

გაკეთებული საქმეებიდან და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე კვირკველიების საგვარეულო მამულიშვილური ერთობის საუკეთესო მაგალითია.

ცხადია ქვეყნის უკეთესი მომავლის შენებაში გვარების აქტიური ჩართვა განაპირობებს ძლიერ სახელმწიფოს და ბედნიერ მომავალს.

მედეა ბაღათურია

არქივიდან. 1990 წ. ნოქალაქევი

ხსოვნა

რენადა შონია

დაიბადა 1940 12 ივნისს გალის რაიონის სოფ. ზემო ბარღებში, სტუმართმოყვარებით, პატიოსნებით და განათლებით გამორჩეულ მოსამსახურის ოჯახში. მშობლებმა ჯვებე შონიამ და ლუბა ჩემინავამ იგი შეიყვანეს გალის №2 საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ქ. სოხუმში ერთწლიან საბუღალტრო სკოლაში. უმაღლესი კვალიფიციური განათლება მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში მიიღო, რომლის ეკონომიური ფაკულტეტი 1970 წელს დაამთავრა.

სხვადასხვა დროს მუშაობდა გალის რაიონის დამზადების კანტორაში, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში, გალის პურპროდუქტების ბაზაში სხვადასხვა პოზიციებზე.

1975 წელს მუშაობა დაიწყო ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ეკონომისტად, იმავე წელს გადაყვანილ იქნა გალის საბითუმო ბაზაში მთავარ ეკონომისტად.

1976 წელს ოჯახი მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. ცხაკაიაში. (ამჟამინდელი სენაკი) და მუშაობა დაიწყო ჯერ ცხაკაიას სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში ეკონომისტად, შემდეგ კი 1977 წელს სენაკის საფინანსო განყოფილებაში სახელმწიფო შემოსავლების უფროს ეკონომისტად, სადაც იმუშავა 2005 წლამდე.

იყო მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, კარგი მეგობარი და კოლეგა.

გამორჩეულად მტკივნეულია უშენობა ჩვენთვის, შენი შვილებისათვის.

გაზაფხული მოვიდა დედა, შენს ეზოში ისევ ისე ყვავის ყოჩივარდები, იები და ნარცისები, როგორც ადრე მაგრამ უშენოდ...

რაც დრო გადის უფრო გაუსაძლისი ხდება ცხოვრება. 40 დღემ მონატრებასა და ტკბილ მოგონებებში განვლო. ლაღად და ბედნიერად გვახსენდება მშობლებთან გატარებული ბედნიერი წლები, შევნატრით იმ დღეებს, როცა ერთად ვიყავით დედა, მამა და ჩვენ სამი ქალიშვილი. თეა, ნათია და ეკა.

მამამ, ნაომი თოდუამ ნაადრევად მიგვატოვა, 60 წლის ასაკში შეწყდა მისი გულის ცემა. მას შემდეგ შენ იყავი ოჯახის დედაბოძი, შვილების წინამძღოლი და გზის მაჩვენებელი. შვილიშვილები ხშირად იგონებენ ბაბუას, ეხლა შენც გახდი მოსაგონებელი. გახარებდა პატარა ლილე, რომელიც ახალი სიცოცხლე არის ჩვენს ოჯახში. სულ პაწაწინა ახალშობილი, რომელმაც ჯერ არ იცის ვინ არის რენადა ბებია, მაგრამ ჩვენ ზუსტად და წმინდად გადავცემთ თუ როგორი მეუღლე, დედა, ბებია და მეგობარი იყავი. ვცდილობთ გავუმკლავდეთ მწუხარებას და ღირსეულად ვატაროთ შენი სახელი, მუდამ ჩვენს გულში იქნები დედა. ნათელი დაადგეს შენს უკვდავ სულს, სანთელი და საკმეველი გინათებდეს იმიერში გზას.

შვილები: **თეა, ნათია და ეკა თოდუები**

იროდი წურწუმია

წლები, როგორც წესი, თავის სახელს არქმევს ხოლმე ადამიანის ნაშრომ –ნაღვაწს.

შრომობდა, ქმნიდა მუხლჩაუხრელად იღვწოდა ოჯახის კეთილდღეობისათვის, შვილების მომავლისათვის. მეუღლის ნინო გაგუას გარდაცვალებას ძალიან განიცადა, მაგრამ, შვილების სიყვარულით გარემოსილი, მედგრად მიუყვებოდა წუთისოფლის გზას.

იროდი წურწუმიას ბიოგრაფია გაჯერებული იყო დადებითი მომენტებით. სხვადასხვა დროს მუშაობდა №5 სამშენებლო ტრესტის №12 მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში მშენებლობებზე. როგორც კეთილსინდისიერ და შრომისმოყვარე პიროვნებას მიღებული ჰქონდა სხვადასხვა შრომითი ჯილდოები, სიგელები. გამორჩეულად ფასეულად თვლიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მადლობის წერილს რაიონის სამონასტრო მშენებლობაში შეტანილი წვლილისათვის.

კეთილშობილება, კაცთმოყვარეობა, პატიოსნება, ადამიანებისადმი მოკრძალება იყო მისი ცხოვრების კრედო. შვილები კარგ სპეციალისტებად და ღირსეულ მოქალაქეებად აღზარდა. საუკეთესო მეზობელი იყო, ახლობლების ჭირში და ლხინში თანამდგომი, ყოველთვის უწვდიდა დახმარების ხელს მოკეთე-მოყვარეს.

საოცარი სისწრაფით გაირბინეს წლებმა. 9 ათეული წელი მიითვალა იროდი წურწუმიას ბიოგრაფიის ფურცლებმა. ბოლო დროს მოძალებული ავადმყოფობის მიუხედავად, მაინც იმედიანად იყო. 8 მარტს აღესრულა. ჭეშმარიტად დააკლდება შვილებს, რძალს, ახლობლებს, ნათესავებს. მისი ხსოვნა დარჩება ახლობლების გულში, სიცოცხლე კი გაგრძელდება ახლადმოვლენილ პატარა ვაჟკაცში. გაძლიერდება, გაიზრდება წურწუმიების ფუძე, მრავალ ნაყოფს დაისხამს ხე სიცოცხლისა.

იროდი წურწუმიას სული უცილობლად ნათელში იქნება..

ახლობლები

ლავრენტი ბერია-120

რუსი ისტორიკოსების აზრით „თუკი დედამიწაზე მესამე მსოფლიო ომი არ მოხდა, ეს ერთადერთი კაცის დამსახურებაა და მისი სახელია საბჭოთა კავშირის მარშალი ლავრენტი ბერია“ .„მსოფლიოს ისტორიაში არავის და არასოდეს ჰყოლია ისეთი დაზვერვა, როგორც საბჭოთა კავშირს”. „საბჭოთა დაზვერვამ ბერიას ხელმძღვანელობით ისეთ წარმატებებს მიაღწია, როგორზეც ვერ იოცნებებდა ვერც ერთი ქვეყნის უშიშროების სამსახური“. ასევე მსოფლიოს ცნობილი სადაზვერვო საქმის პროფესიონალები ლავრენტი ბერიას ყველა დროის უპირველეს მზვერავს უწოდებენ“. ამ პოსტზეც და მანამდე სხვა მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობეზეც, სადაც უმუშავია ლ. ბერიას ავლენდა უდიდეს პროფესიონალიზმს, მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებდა ზედმიწევნით. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის პირველ მდივნად მუშაობის წლებში წარმატებით განხორციელდა ნავთობსაწარმოების ტექნიკური გადაიარაღება, მოხდა სოფლის მეურნეობაში კოლხეთის დაშრობის, ჩაისა და ციტრუსების გაშენების გრანდიოზული გეგმების განხორციელება, არა ერთი ეროვნული და საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილების მიღება, ტერიტორიული და დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღება. უდიდესია მისი როლი შეიარაღების ახალი სისტემების და ატომური იარაღის შექმნის საქმეში. დამსახურებათა გამო მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის, სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშლის წოდებები, დაჯილდოებული იყო ხუთი ლენინის, სუვოროვის I ხარისხის, წითელი დროშის ორი ორდენითა და შვიდი მედლით. ლავრენტი ბერია საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მასზე ლექსებს თხზავდნენ, იქმნებოდა სიმღერები. ლავრენტი ბერია ფლობდა 8 ენას, დაიბადა 1899 წლის 29 მარტს გულირიფშის რაიონის სოფელ მერხეულში. მიმდინარე წელი მისი საიუბილეო წელია, დაბადებიდან 120 წელი უსრულდება.

შთამომავლობამ არ უნდა დაივიწყოს მრავალი სასიკეთო საქმის სულისჩამდგმელი საქართველოს ტერიტორიის, დემოგრაფიული სიტუაციის, ეკონომიკის გაუმჯობესების საქმეში დიდი დამსახურების მქონე პიროვნება. მინდა გაგაცნოთ კორესპონდენციიდან „ბერია და ორთაჭალის ბაღები“ ამონარიდი: „ერთ-ერთი მებაღე მიხეილ ძიძიგური შვილი იყო ორთაჭალელი მებაღის ანდრია ძიძიგურისა, რომელთანაც მოწაფეობის დროს რამდენიმე წელი გავატარე. იგი განაგებდა და უვლიდა ბერიას ბაღს. „- ერთ დღეს, - მიამბო მიხეილმა, - ბაღში შემოვიდნენ ლავრენტი ბერია და მისი მეუღლე ნინო გეგეჭკორი. ბერიამ ბაღში ორი შუშა კიტრი მოწყვიტა და შემდეგ ცოლ-ქმარი ჩემსკენ გამოემართა. ორივე მომესალმა, ხელი ჩამომართვა და მთხოვა მომეტანა სკამი, დანა, თეფში და მარილი, მე მათ ვთხოვე, შინ შემოსულიყვნენ, მაგრამ ბერიამ სიცილით მითხრა: მე კაბინეტში ჯდომა არ მაკლია, ცის ქვეშ ყოფნა უფრო მსიამოვნებსო. თხოვნა შევუსრულე. შემდეგ მკითხა, როგორ გეპყრობიან ჩემი თანამშრომლები, ხომ არ გავიწროვებენო. – არა, ბატონო, ყველაფერი კეთდება ბაღების სასარგებლოდ, -- ვუპასუხე. შემდეგ მთხოვა, რომ ბაღებში და მის მიდამოებში დარგული არც ერთი ხე არავინ მოჭრასო...

როდესაც კრწანისი მთავრობის რეზიდენციის ადგილი გახდა, დაიწყეს ქუჩების გაფართოებ-გაგანიერება, რამდენიმე ხის მოჭრა გახდა საჭირო. მე გზის გამყვანი ინჟინერი გავაფრთხილე, რომ ბერიამ დამავალა, ბაღის მიდამოებში არცერთი ხე არ მოიჭრასო. მეორე დღეს დილით მოვიდა ბერია მეუღლითურთ და რამდენიმე თანამშრომლის თანდასწრებით დაათვალიერეს ეს ადგილი, სადაც ხეები უნდა მოჭრილიყო. გზის გამყვანთ ბერიამ ჰკითხა, იქნებ ხეები გადავარჩინოთ და არ მოვჭრათო?! – ეს შესაძლებელია, -- უთხრა ინჟინერმა, -- მაგრამ ცოტა ძნელი იქნება და ამავე დროს გზა უფრო დაიკლაკნება და სილამაზესაც დაკარგავსო. მაშინ ბერიამ თქვა, ხეები მოჭერით , მაგრამ იქვე ახლოს დარგეთ კაკლის ხეო. დღეს ეს ხე ამშვენებს და ალამაზებს მიდამოს, რომელსაც კრწანისელი მებაღეები ბერიას ხეს უწოდებენ. ბერია და მისი მეუღლე ნინო დაგვემშვიდობნენ და წავიდნენ. ნინო იყო ლამაზი და ტკბილმოსაუბრე, მასში არ იგრძნობოდა მეუღლის ავტორიტეტით გამოწვეული მაღალი და აწეული ტონით საუბარი. კრწანისელი მებაღეები მას იცნობდნენ, როგორც კეთილსა და ყველას შემწეს“.

მასალები შეკრიბა დაზმირ ბერიამ

ხელმოწერა გრძელდება

სენაკის მუნიციპალიტეტის გაზეთმა „კოლხეთმა” 2018 წლის მაისში 95 წელი მიითვალა. მისი მრავალფეროვანი არქივი და გაზეთის ფურცლები მრავალ საინტერესო და ისტორიულ კორესპონდენციას ინახავს.

თითზე ჩამოსათვლელია არათუ რეგიონალური, არამედ რესპუბლიკური გაზეთები, რომლებმაც გაუძლო მძაფრ კატაკლიზმებს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის როგორც გაზეთის შემოქმედებით მუშაკებს, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებას.

„კოლხეთის” დამახასიათებელი ნიშანი იყო და არის ეროვნული სულისკვეთება, დაფასება მშრომელი ადამიანებისადმი, პროფესიონალიზმი, ზრუნვა ახალგაზრდობის ღირსეული აღზრდისადმი, მშობლიური სანახების, ისტორიის, კულტურის, ხელოვნების სფეროში მიმდინარე პროცესებისადმი.

წლებით დატვირთული, გამოცდილი „კოლხეთი” კვლავაც რჩება მუნიციპალიტეტის მემატიანედ.

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „კოლხეთზე”, გაზეთის სიცოცხლისუნარიანობას ერთგვარად განსაზღვრავს ხელმომწერთა რაოდენობა.

გვჯერა, ჩვენი ხელმომწერები, სენაკელები კვლავაც უერთგულებენ 95 წლის გაზეთს.

გამოიწერეთ მუნიციპალიტეტის მემატიანე. გწამდეთ, რომ ამით თქვენ დიდ წვლილს შეიტანთ ბეჭდური მედიის განვითარების საქმეში.

„კოლხეთელები“

„საინფორმაციო ცენტრის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ იზა, ნონა და ვალერი წურწუმიებს მამის

იროდი წურწუმიას

გარდაცვალების გამო.

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ საუკეთესო სენაკელის

ომარ გაბედავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კერძო სკოლა „პელაგონის“ პედაგოგები, მშობლები და აღსაზრდელები იუწყებიან სკოლის დირექტორის

რუსუდან ურიდიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის № 56/7-17

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა

შპს „ხომლი ენ“

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.

ტელ: 223779; 223711; 223499.